ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## ანი ბაბეჩავამ მერსედესის 5 მგზავრი ამოიცნო


გვ.5

## პოლიციამ სააკაშვილის მეგობარი ვახტანგ ბერიძე დააკავა


გვ.5

ოთხშაბათი, 3 თებერვალი, 2021

№14 (8543)

ფასი: 60 თეთრი

# „ქალაქის მთელ გუნდზე უშიშროებაა ჩასაფრებული“


გვ.3

ლადო სადღობელაშვილი: „გახარიას ისეთ პირობებს უქმნიან, რომ წავიდეს“



## „ქართულმა ოცნებამ“ პოლიტიკური კაპიტალი დაკარგა“


გვ.2

ვახტანგ ძაბირაძე: „ქართული ოცნება“ დიდად მოხარული არ იქნება, 60-ივე ოპოზიციონერი პარლამენტში თუ შევა“



## ნიკა გვარამია: „თეა წულუკიანის მიერ ჩემი ტელეფონის საჯაროდ გამოცხადება ჩემი პირადი დევნაა“



გვ.4

## „პარლამენტში 2000 წლის შემდეგ ოპოზიცია არ ყოფილა“


გვ.4

მამუკა გიორგაძე: „თუ ბიძინა ივანიშვილი არ უპასუხებს „ქართული ოცნებიდან“ წამოსულ ზარებს, ქვეყანაში ისეთი ამბავი ატყდება, დედა შვილს არ აიყვანს ხელში“

## სალომე სამადაშვილი: „ხელისუფლება ოპოზიციისთვის მანდატების შენარჩუნებით პასუხისმგებლობის არიდებას შეეცადა“


გვ.2

„უკმაყოფილება სხვადასხვა ფორმებში გამოიხატება, მათ შორის, აქციებშიც... საპროტესტო მოძრაობა გაძლიერდება“

## თაკო ჩარკვიანი: „ელისაშვილს, როგორც სალახანას, ისე მოექცნენ“

გვ.3

## ჯონდი ბაღათურია: „სააკაშვილს დავითგარეჯის გასხვისებაში ბრალი მეც დავდე“


გვ.4

ISSN 1987-9385
9 771987 938006

3 „ქართული ოცნება“ ოპოზიციას მანდატებს არ შეუწყვეტს

3 თამარ ბაჩალიაშვილის ოჯახმა და ადვოკატმა რამიშვილმა სასამართლოში საჩივარი შეიტანეს

5 ოთარ ფარცხალაძე ლაშა თორდიას ცემის საქმეში გაამართლეს

6 ევროკავშირი არაწევრი ქვეყნებიდან მგზავრობაზე შეზღუდვებს ამკაცრებს

# სალომე სამადაშვილი: „ხელისუფლება ოპოზიციისთვის მანდატების შენარჩუნებით პასუხისმგებლობის არიდებას შეეცადა“

## „უკმაყოფილება სხვადასხვა ფორმებში გამოიხატება, მათ შორის, აქციებშიც... საპროტესტო მოძრაობა გაძლიერდება“

იაგო ნაცვლიშვილი

**საპარლამენტო უმრავლესობამ ოპოზიციონერი დეპუტატებისთვის მანდატების გაუქმება ისევ გადასწია. ოპოზიცია კი ისევ ითხოვს პროცესის დაჩქარებას. უფრო მეტიც, ირაკლი კობახიძე ამტკიცებს, რომ ოპოზიციიდან 20-მდე დეპუტატს სურს პარლამენტში შესვლა. სამაგიეროდ, პარტია „მოქალაქეების“ მონაწილეობით პირველი სხდომა გაიმართა.**



რას ცდილობს უმრავლესობა – პარლამენტისთვის რეალური ფუნქციის დაბრუნებას თუ ოპოზიციასთან პოლიტიკურ ვაჭრობას? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **სალომე სამადაშვილი** საუბრობს.

***– ხელისუფლებამ მანდატების გაუქმება ისევ გადასწია. რისი მცდელობაა ეს?***

– მე ვფიქრობ, რომ „ქართული ოცნება“ კიდევ ერთხელ შეეცადა, რომ პასუხისმგებლობა აერიდებინა იმ პოლიტიკურ ვითარებაში, რომელიც ქვეყანაში შეიქმნა. მთავარი აქ არის „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილება, რომ არჩევნები ჩაეტარებინა არა სამართლიანი და თავისუფალი, არამედ ამ პრინციპების დარღვევით. ამის გამოა შექმნილი ეს ვითარება. არანაირი ნიშანი არ ჩანს, რომ „ოცნებას“ გადაედგა ნაბიჯები შეთანხმების მისაღწევად, რომელიც განმუხტავდა პოლიტიკურ კრიზისს. „ოცნებამ“ გადაწყვიტა, რომ თავად არ აიღებს პასუხისმგებლობას მანდატების გაუქმებაზე. ამ ნაბიჯს არანაირი შედეგი არ ექნება.

***– ამასთან ერთად კონსტიტუციასაც გვერდს ხომ არ უვლის და ხომ არ არღვევს მას?***

– ტექნიკურად ალბათ სადავო საკითხია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მიმაჩნია, რომ პოლიტიკური უფლებაა და პიროვნული უფლება, რომ პარლამენტის წევრმა უარი თქვას მანდატზე. ამიტომ, სამართლებრივი თვალსაზრისითაც, როგორც არ უნდა განვიხილოთ, ვფიქრობ, რომ ეს არის უფლებების შეზღუდვა.

***– ირაკლი კობახიძემ გვითხრა, რომ ოცამდე დეპუტატია, რომელსაც აქვს სურვილი პარლამენტში შევიდეს. რას ნიშნავს ეს და თქვენც ხომ არ იცით, რომ დეპუტატების ამ რაოდენობას უნდა პარლამენტში შესვლა?***

– არ ვიცი. მე მგონია, რომ ამის არანაირი საფუძველი არ აქვს კობახიძეს. იმიტომ, რომ ოპოზიციამ დააფიქსირა საკუთარი პოზიცია. აქ საუბარი იმაზეა, რომ არსებობს მოთხოვნები და ამ მოთხოვნებზე შეთანხმებისა და მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში, ცხადია, რომ ვითარება შეიცვლება. მაგრამ თუ მათი გათვალისწინება არ მოხდება, მე არ მაქვს საფუძველი ვიფიქრო, რომ ოპოზიციაში არსებობენ ადამიანები, რომლებიც მზად არიან, რომ პარლამენტში მუშაობის შესაძლებლობა განიხილონ.

***– ირაკლი კობახიძე ოპოზიციას ისევ ნაწილებად ყოფს – რადიკალურ და კონსტრუქციულ ოპოზიციად. ოპოზიციაში არეულობის შეტანა უნდა თუ როგორ უნდა გავიგოთ ეს?***

– ცხადია, რომ ოპოზიციის დანაწევრება ხელისუფლების დღის წესრიგშია ნამდვილად. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ ოპოზიციამ შეინარჩუნოს ერთიანი მიდგომები. ძალიან არასასიამოვნო იყო ის, რომ, მაგალითად, პოლიტიკური პატიმრების თემაზე ბოლომდე ვერ დაიცვა ერთიანი პოზიცია. მე ვგულისხმობ იმას, რომ ალეკო ელისაშვილს თავის დროზე დაფიქსირებული ჰქონდა პოზიცია, რომ ეს იყო მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი, მაგრამ ჩვენ დღეს ვხედავთ, რომ არ არის შესრულებული მოთხოვნა, რომელიც პოლიტპატიმრების გათავისუფლებას უკავშირდება და გიორგი რურუა რჩება საპატიმროში.

***– ალეკო ელისაშვილი პარლამენტშია და მან თქვა, რომ იქ მოსახვედრად მძიმე გზა გამოიარა. ამას როგორ აფასებთ?***

– მე ვფიქრობ, რომ საზოგადოება თავად შეაფასებს პოლიტიკოსების გადაწყვეტილებებს და ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებებსა და გადაწყვეტილებებს. ეს უნდა შეაფასოს ამომრჩეველმა. მათ შორის, ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის გადაწყვეტილება უნდა შეაფასოს საზოგადოებამ. მე მიმაჩნია, რომ მიზანმიმართულად და ერთიანი მიდგომით ვიმოძრაოთ ოპოზიციამ ყველა მიმართულებით. მათ შორის, პარლამენტის მანდატებთან დაკავშირებითაც.

***– ოპოზიციისგან ამომრჩეველს ისიც აინტერესებს, რას შეცვლით გარედან. არ შედიხართ პარლამენტში, მაგრამ გარეთ მეტი ბერკეტი გაქვთ, ვიდრე ეს პარლამენტში გექნებოდათ?***

– იცით რა? ჩვენი ამოცანა დღეს არის ზეწოლის ორგანიზება, რომელიც არის ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევა. ცხადია, რომ საპარლამენტო ბოიკოტი შესაბამისი ორგანიზებული ზეწოლის გარეშე ვერ შეცვლის რეალობას. ამისთვის საჭიროა მიზანდასახული მოძრაობა და შესაბამისი მოქმედება ოპოზიციის მხრიდან.

***– რამდენიმე დღის წინ თაკო ჩარკვიანმა სახალხო ჯანყი დააანონსა. თქვენ რა პოზიცია გაქვთ ამასთან დაკავშირებით და მსჯელობთ თუ არა აქციებზეც?***

– მე ვფიქრობ, რომ ის ვითარება, რომელიც დღეს არის ქვეყანაში შექმნილი, ნამდვილად გამოიწვევს საზოგადოების დიდ უკმაყოფილებას და ეს უკმაყოფილება გამოიხატება სხვადასხვა ფორმებში, იგივე აქციების ფორმებში.

უკვე დაწყებულია საპროტესტო მოძრაობა სხვადასხვა ჯგუფების მხრიდან. ცხადია, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის ფონზე ეს პროცესები გაგრძელდება და უფრო გაძლიერდება.

***– აზრთა სხვადასხვაობა იყო ნაციონალურ მოძრაობაში. აჭარის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი პარტიიდან გარიცხვითაც კი დაგემუქრათ. ამოწურულია ეს პრობლემები?***

– მე ვფიქრობ, რომ ყველაფერი გასაგებია. განსაკუთრებით, როდესაც ვიხილეთ ბატონ ივერი მელაშვილზე თავდასხმა, ესეც მიუთითებს იმაზე, რომ ეს არ არის ის გზა, რომლითაც ჩვენ უნდა ვიმოძრაოთ დემოკრატიულ და კანონის უზენაესობის მქონე სახელმწიფოში. ჩვენ შეიძლება გამოვხატოთ ძალიან მწვავე პროტესტი, მაგრამ ამავე დროს პატივი უნდა ვცეთ ყველა ადამიანის უფლებებს და მის ღირსებას.

ამასთან დაკავშირებით არანაირი განსხვავებული აზრი არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკურ დონეზე. მათ შორის ეს არც ნაციონალურ მოძრაობაში ყოფილა. ყველამ დააფიქსირა საკუთარი შეხედულება, იმის მიუხედავად, რომ აღმაშფოთებელი შეიძლება იყოს კონკრეტული ადამიანის გადაწყვეტილება თუ ქმედება, პროტესტის ის ფორმა, რომლითაც იგმობა ამ ადამიანის გადაწყვეტილება, მისაღები არავისთვის არ იყო. ყოველ შემთხვევაში, ნაციონალური მოძრაობის რომელიმე პოლიტიკური ლიდერისგან, მე სხვა განცხადება არ მომისმენია.

***– მაშინ რა პრობლემებიც გაჩნდა, დღეს ის უკვე აღარ არსებობს და ამოწურულია?***

– პარტიის პოზიცია ბათუმში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით ერთმნიშვნელოვანი იყო. თუ თქვენ შეგიძლიათ მოიყვანოთ ციტირება რომელიმე პოლიტიკური ლიდერის, რომელმაც სხვა რამე თქვა ბათუმში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით, გარდა იმისა, რომ მათთვის არ იყო მისაღები ჩავლეიშვილის გადაწყვეტილება და შემდეგ მის მიმართ გამოხატული პროტესტის ეს ფორმა. ნაგვის თავზე დაყრა რომ არ შეიძლება, ეს თქვა ნაციონალური მოძრაობის ყველა ლიდერმა.

# „ქართულმა ოცნებამ“ პოლიტიკური კაპიტალი დაკარგა“

## ვახტანგ ძაბირაძე: „ქართული ოცნება“ დიდად მოხარული არ იქნება, 60-ივე ოპოზიციონერი პარლამენტში თუ შევა“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი, კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ვახტანგ, ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ 20-მდე ოპოზიციონერ დეპუტატს სურს პარლამენტში შესვლა, მაგრამ ისინი ბულინგისა და შანტაჟის მსხვერპლნი არიან. შეიძლება ელისაშვილისა და იოსელიანის გზას სხვებიც დაადგნენ?***

– დარწმუნებული ვარ, რომ ვიღაცებს მართლაც უნდათ პარლამენტში შესვლა. შეიძლება კობახიძეს აქვს რაღაც ინფორმაცია კიდეც. ოპოზიციაში არის ხალხი, რომლებიც საკმაოდ რეალისტურად აღიქვამენ ვითარებას. ისინი აცნობიერებენ ქუჩაში დარჩენის შემთხვევაში მათ პერსპექტივას. ამიტომ, არ გამოვრიცხავ, რომ ასეთი სურვილი რეალურად იყოს ოპოზიციაში. თუმცა, ვიღაცის ბულინგის ქვეშ არიან – არ მგონია მთლად ასე იყოს, არც ეს არის გამორიცხული, მაგრამ მთავარი განმსაზღვრელი სხვა რაღაც არის. მაჟორიტარული მანდატის შემთხვევაში გადაწყვეტილებას ბევრად უფრო ადვილად მიიღებდნენ. საერთო სიის შემთხვევაში, ცოტა უფრო სხვაგვარად არის საქმე.

***– რატომ?***

– მაგალითად, ნაციონალური მოძრაობის სიაში მყოფ ადამიანს ასეთი გადაწყვეტილების მიღება ბევრად უფრო უჭირს. მან იცის, რომ დეპუტატი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ ნაციონალების სიაშია, მანდატის მოპოვების მიზეზი თავად კი არა ნაციონალური მოძრაობაა. ამიტომ, რთულია ამის გადალახვა, თუნდაც ადამიანურად. თუმცა, მე სულაც არ გამოვრიცხავ, რომ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ამ ადამიანებმა ბევრი რამ გააცნობიერონ, გადახარშონ და მაინც მიიღონ ასეთი გადაწყვეტილება.



***– „ოცნება“ ამიტომ ტოვებს კარს ღიას?***

– რა თქმა უნდა! ამ საკითხის ჩაგდება, ეს პირველ რიგში პოლიტიკური გადაწყვეტილებაა.

***– მიუხედავად კობახიძის მკვახე განცხადებისა, „ოცნებას“ მაინც ეხამუშება მარტო დარჩენა და ცდილობს ოპოზიცია შემოიყვანოს?***

– მარტო რომ არიან პარლამენტში, ეს მაინცდამაინც არ აწუხებთ. ისინი უფრო ანგარიშს პარტნიორ ქვეყნებს უწევენ. ამიტომაც ჩააგდეს ოპოზიციონერი დეპუტატებისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი. მაინცდამაინც არ ვარ დარწმუნებული, რომ „ქართული ოცნება“ დიდად მოხარული იყოს 60-ივე ოპოზიციონერის პარლამენტში ხილვით. ეს ძალიან გაურთულებს საქმეს „ქართულ ოცნებას“. ისინი ეცდებიან ვიღაცების შეყვანას, მაგრამ არა მთლად 60-ივეს შეყვანას, ამ შემთხვევაში არ მგონია, რომ მთლად სალხენად ჰქონდეთ საქმე.

ახლა „ქართული ოცნება“ ეცდება, წარმოაჩინოს, რომ ეს არის რადიკალური ოპოზიცია, რომელსაც არ უნდა მოლაპარაკებები და უნდა რევოლუცია. ამის დამტკიცებას პირველ რიგში პარტნიორ ქვეყნებთან შეეცდებიან. ჯერჯერობით ამას ახერხებენ და ახერხებენ საკმაოდ წარმატებით.

***– თუმცა, ვიღაცების გადაბირებას მაინც ეცდებიან?***

– რასაკვირველია. ამას ემსახურება სწორედ ღია კარის პოლიტიკა. თუ კიდევ გააგრძელებენ ამ დროს და ჰაერში იქნება ეს საკითხი გამოკიდებული, მე არ გამოვრიცხავ, რომ მართლაც აღმოჩნდნენ ოპოზიციაში ადამიანები, რომლებიც გარკვეულ ზღვარს გადააბიჯებენ და პარლამენტში შევლენ. გადააბიჯებენ სწორედ იმიტომ, რომ მათთვის ბევრად უფრო ნათელი გახდება, რომ ქუჩაში დარჩენილი ოპოზიცია მარტოა. მის გვერდით არავინ არის არც შინ და არც გარეთ.

ქუჩაში გაზაფხულზე მასობრივი აქციების ორგანიზება და მისი პოლიტიკური აზვირთება, რომლის იმედიც მათ აქვთ და რასაც აანონსებენ, ძალიან რთული იქნება. ეს არ არის მარტივად გასაკეთებელი საქმე. მე არ მგონია, რომ ხალხის დიდი რაოდენობა ქუჩაში გამოვიდეს. ამ შემთხვევაში ამ ხალხს პარლამენტში შესვლის გადაწყვეტილება ბევრად უფრო გაუადვილდება.

***– კონსტიტუციონალისტი ვახუშტი მენაბდე აცხადებს, რომ უმრავლესობა ვალდებულია ოპოზიციონერ დეპუტატებს უფლებამოსილება შეუწყვიტოს, რადგან ადამიანს თვითონ უნდა შეეძლოს თავისუფლად განკარგოს თავისი მანდატი.***

– დიახ, სამართლებრივად ეს ასეა. თუმცა, ეს ხომ პოლიტიკური გადაწყვეტილებაა და არა სამართლებრივი. პოლიტიკური პროცესის ნაწილია და არა სამართლებრივის. მიუხედავად იმისა, რომ „ოცნება“ პირველივე დღიდან იმუქრება მანდატების შეწყვეტით, ეს მათ ჩააგდეს. აქვე უნდა ვთქვა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ამ გადაწყვეტილებით პოლიტიკური კაპიტალი დაკარგა და ეს მისთვის მაინცდამაინც არ იყო მომგებიანი სვლა. თუმცა, ამ გადაწყვეტილებით მმართველმა პარტიამ აჩვენა, რომ ის ანგარიშს უწევს საერთაშორისო პარტნიორებს, მათ რეკომენდაციებს, რომ სწორედ მათი თხოვნით ხდება ამ ნაბიჯის გადადგმა. თითქოს ეს ერთგვარი კომპენსაციაა მათი მხრიდან.



ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაგაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „კალაძის მთელ გუნდზე უშიშროებაა ჩასაფრებული“

ნონა ცაბაძე

## ლადო სადღობელაშვილი: „გახარიას ისეთ პირობებს უქმნიან, რომ წავიდეს“

**ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ლადო სადღობელაშვილი პასუხობს.**

***– ივანიშვილის გარეშე დარჩენილ „ოცნებაში“ დაპირისპირებამ იმატა. გამოდის ინფორმაციები, რომ კალაძე აქეზებს ოპოზიციას გახარიას წინააღმდეგ, ასევე თავად კალაძესაც. რა ხდება რეალურად?***

– ივანიშვილის წასვლა უკავშირდება მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესებს. ბევრი გადათამაშება ხდება მსოფლიო მასშტაბით და აქედან გამომდინარე მან არჩია ასეთ პოზიციაში ყოფნა, როდესაც მას არ მოეკითხება პასუხი სხვადასხვა ქმედებებზე.

***– ამ ფონზე რა ხდება „ქართულ ოცნებაში“?***

– გარკვეული ვადა მისცა ბიძინამ „ქართულ ოცნებას“. თუ ეს პარტია შეძლებს ამ ვადაში და ფეხზე წამოდგება, ისევ იტყვის, ჩემი პარტიააო, თუ საბოლოოდ ჩამოიშალა, მაშინ ახალ პარტიას შექმნის. დღეს ყველა ძალოვანი სამინისტრო ბიძინას განკარგულებაშია და ეს კითხვებს ტოვებს. ეს დიდი ბერკეტი არ დათმო ბიძინამ. ამიტომ ცალსახად იმის თქმა, რომ ბიძინა წავიდა, არასწორია. რაც შეეხება ხელისუფლებაში კულუარულ დაპირისპირებებს, ეს უკვე სხვა თამაშია.

***– რა თამაშია?***

– დავაკვირდეთ, რა პერიოდებით აყენებენ პრემიერ-მინისტრებს „ქართული ოცნების“ პირობებში. წელიწადნახევარი, მაქსიმუმ ორი წელი. მეტი ხნით არც ერთი პრემიერი არ დარჩენილა.

***– გახარიას წასვლის დროც მოვიდა?***

– საუბარი იმის თაობაზე, რომ გახარიას და ბიძინას შორის სერიოზული კონფლიქტია, არ არის საფუძველს მოკლებული. მათ შორის ნამდვილად იყო დაპირისპირება, თუმცა ასე პირდაპირ ვერ ეტყოდნენ მას, ადექი და წადიო. სიტუაციას უქმნიან ისეთს, რომ წავიდეს. ძნელია, როდესაც პრემიერი ხარ და არ გემორჩილება არც ერთი ძალოვანი მინისტრი, მაგალითად, გომელაური, რომელიც ღიადაა დაპირისპირებული გახარიასა და მის კადრებთან.

***– რეგიონებში განხორციელებული საკადრო ცვლილებებიც ამას უკავშირდებოდა?***

– რა თქმა უნდა. იძახის გომელაური ინტერვიუებში, ჩემი კადრები უფრო არიან, ვიდრე გახარიასიო. კი, შესაძლოა, მისი მოყვანილი კადრები იყვნენ, მაგრამ დაინახა, რომ გახარიას ემორჩილებოდნენ და იმიტომ მოხსნა.

რა პროცესებიც მერიაში მიმდინარეობს, ესეც პირდაპირ მიუთითებს იმას, რომ სერიოზული ბრძოლაა გამოცხადებული ამ უწყებებს შორის. უშიშროებასა და მერიას შორის სერიოზული ბრძოლაა. რა მასშტაბებზე გადავა, ეს უკვე სხვა საკითხია.

***– ცდილობენ, რომ კალაძის ამბიციები მოთოკონ?***

– რა თქმა უნდა, ასეა. თუმცა, მოდით, სიმართლე ვთქვათ – ბიძინა ივანიშვილი და კახა კალაძე, ეს ორი ადამიანი იყო სული ჩამდგმელი „ქართული ოცნებისა“. თუ ბიძინა ივანიშვილმა ხელი დაიბანა და წავიდა პარტიიდან, მაშინ პირველი უნდა იყოს კალაძე. დღეს კალაძეს სწორედ ის ადამიანები დაუპირისპირდნენ, რომელთაც ყველაზე მეტად ენდობოდა.

***– ირაკლი კობახიძეს გულისხმობთ?***

– ზუსტად კობახიძეს ვგულისხმობ. კალაძის ჩამოლაბორანტება მოხდა პარტიულ სტრუქტურაში, ვგულისხმობ ვასილ მაღლაფერიძის დაწინაურებას და კალაძეზე წინ დაყენებას. ანუ პირდაპირ ეუბნები, პარტიიდან წადიო. ცოტა უხერხულია, როცა 8 წლის განმავლობაში შენ ხარ ხან პირველი და ხან მეორე, უეცრად მოჰყავთ კობახიძე, რომელიც აღმოჩნდა ივანიშვილის გოშია და არა კალაძის, ან მოჰყავთ ვასილ მაღლაფერიძე, საერთოდ უცხო სხეული პარტიაში და კალაძეს ეუბნებიან, ჩაიჩოჩეო.

***– ჩააჩოჩეს?***

– ყველანაირად ჩააჩოჩეს. თავმოყვარე ადამიანი ერთს შეუკურთხებდა და წავიდოდა პარტიიდან, მაგრამ აქ სხვა პროცესებს უნდა ველოდეთ.

***– რა პროცესებს?***

– 2017 წლიდან სულ მომდიოდა ხმები, რომ კალაძე ახალი პარტიის შექმნას აპირებდა. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. დღეს კალაძეს შეუქმნეს ისეთი სიტუაცია, რომ იძულებულს ხდიან, ეს ნაბიჯი გადადგას.

***– მალე ადგილობრივი არჩევნები მოდის. დააყენებს კალაძე მერად ისევ საკუთარ კანდიდატურას თუ პრემიერობას მოინდომებს?***

– კალაძეს მერად დარჩენაც გაუჭირდება. დღეს მთელ მის გუნდზე უშიშროებაა ჩასაფრებული. პირდაპირ მიანიშნებს კალაძე გამგებლებს, ფრთხილად იყავითო. კამერებიდან აფრთხილებს, მოთოკეთ თქვენი სურვილებიო.

დღეს „ქართულ ოცნებაში“ მოძლიერებულია და აგრესიულად იქცევა ბიძინას ფრთა. ძალაუფლება ვის არ უყვარს, მაგრამ სანამ ღირსეულად წასვლა შეუძლია, კალაძე უნდა წავიდეს. სანამ მას შეაწმენდენ ხელს და ისე გაუშვებენ. დღეს აქტიურად მუშაობს „ოცნების“ ერთი ფრთა, რომ კალაძეს ამბიციები მოუკლან. პრემიერობა კი არა, კალაძეს ისე უჩალიჩებენ სიტუაციას, რომ მერადაც აღარ წარადგინოს კანდიდატურა. მას მერიიდანაც აჩოჩებენ.

თბილისის მერიაში რომ ფული კეთდება, ისე არ კეთდება არსად, არც ერთ უწყებაში. კალაძეს ბევრი მინუსი აქვს მენეჯმენტში, ქალაქის მართვაში, ბევრი დანაპირებიც ვერ შეასრულა და ამ ყველაფერს ამოუწევენ წინასაარჩევნოდ. დღეს კალაძეს თუ ვინმე ებრძვის, ეს არის ივანიშვილის გუნდი.

***– ლადო, რას იტყვით პარლამენტსა და მის ლეგიტიმაციაზე? ასე თუ ისე, შევიდა რამდენიმე ოპოზიციონერი და ერთპარტიული პარლამენტის იმიჯი მოიშორა ამ პარლამენტმა. რას მოიგებს ამით „ოცნება“?***

– დღევანდელ საპარლამენტო საქმიანობას ვადარებ 2008 წლის პარლამენტს. მიშამ სწორედ ამისთვის შექმნა მაშინ ქრისტიან-დემოკრატები. უფრო ზუსტად, ვანო მერაბიშვილს ემორჩილებოდა ეს პარტია. აქაც აჯობა „ოცნებას“ ნაცმოძრაობამ, გაცილებით მეტი დეპუტატი ჰყავდათ. ამასაც ვერ მოაბეს თავი, რომ ნორმალური სახეები შეეყვანათ პარლამენტში ვითომ ოპოზიციიდან. სამწუხაროდ, მაშინ უფრო სოლიდური ჩანდა პარლამენტი, ვიდრე ახლა.

შეიყვანეს ოთხი გაურკვეველი პიროვნება პატრიოტთა ალიანსიდან, ასევე შეიყვანეს ალეკო ელისაშვილი და ასევე კიდევ ერთი გაურკვეველი ადამიანი. ასევე გირჩთან მიდის ვაჭრობა. საერთოდ გაურკვეველმა ტიპებმა დაიდეს ბინა პარლამენტში. ოთხი წელი იყო ალეკო ელისაშვილი თბილისის საკრებულოში, რა გააკეთა?! თითის დასადები არაფერი გაუკეთებია ამ ქალაქისთვის და პარლამენტში რას გააკეთებს?! უკვე გაჟონა ინფორმაციამ, რომ მან 4 მილიონი აიღო.

***– ელისაშვილმა პარლამენტში შესვლის სანაცვლოდ ფული აიღო?***

– ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ელისაშვილმა ახლა ფული აიღო და ეს ფულის აღება მისთვის პირველი არ ყოფილა. 2017 წელს, ელისაშვილმა, მილიონი პროცენტით ვიცი, რომ ვაკეში ბინა მიიღო. აქედან გამომდინარე, ჩემთვის ესენი არ არიან პოლიტიკოსები, ესენი არიან დახლის ვაჭრები, რომლებსაც ყიდულობ ფულით.

საერთოდ რად უნდათ ამ ატროფირებულ პარლამენტში ყოფნა?! ეს პარლამენტი ხომ თავიდანვე მკვდრადშობილია. ზუსტად ისე დაამთავრებს „ქართული ოცნება“, როგორც ნაციონალურმა მოძრაობამ დაამთავრა.





# „ქართული ოცნება“ ოპოზიციას მანდატებს არ შეუწყვეტს

„ქართული ოცნების“ უმრავლესობა ოპოზიციონერი დეპუტატებისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას მხარს არ დაუჭერს.

„პარტიის პოლიტიკური საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ, საპარლამენტო უმრავლესობამ მიიღო გადაწყვეტილება, ამ ეტაპზე, ოპოზიციის წარდგენით არჩეული 51 დეპუტატისთვის საპარლამენტო მანდატების შეწყვეტისგან თავის შეკავების თაობაზე.

„ქართული ოცნების“ ეს პრაგმატული გადაწყვეტილება დაეფუძნა რამდენიმე ძირითად მოსაზრებას.

რადიკალური ოპოზიცია პროცედურული ინსტრუმენტების გამოყენებით ცდილობს განახორციელოს ის, რასაც ჩვენ ვუწოდებდით პარლამენტის საბოტაჟს და რაც გასულ ორშაბათს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ კიდევ უფრო მწვავედ შეაფასა, როგორც დემოკრატიისთვის ძირის გამოთხრის მცდელობა. თუმცა, საქართველოს აქვს გამართული კონსტიტუცია, რომელიც დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართულ პროცედურულ ინსტრუმენტებს კიდევ უფრო ქმედით პროცედურულ ინსტრუმენტებს უპირისპირებს.

სწორედ ამგვარი კონსტიტუციური ინსტრუმენტია პარლამენტის შესაძლებლობა, დაუპირისპირდეს პარლამენტის საბოტაჟს და საბოტაჟის განმახორციელებელ დეპუტატებს არ შეუწყვიტოს საპარლამენტო მანდატები.

საქართველოს პარლამენტი სწორედ საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ ამ ინსტრუმენტს აამოქმედებს.

დღეს საქართველოს პარლამენტში უკვე წარმოდგენილია სამი პოლიტიკური პარტია. შესაბამისად, რადიკალური ოპოზიციის მიერ დემოკრატიისთვის ძირის გამოთხრის ყოველგვარი მცდელობა წარუმატებლობისთვის არის განწირული. თუმცა, ჩვენ მხედველობაში მივიღეთ ის გარემოება, რომ იმ დეპუტატებს, რომლებმაც წარადგინეს განცხადებები სადეპუტატო მანდატების შეწყვეტის თაობაზე, საპარლამენტო არჩევნებში მხარი ამომრჩევლის 39-მა პროცენტმა დაუჭირა. შესაბამისად, ჩვენ ამ დეპუტატებს მივეცით კიდევ ერთი შესაძლებლობა, პატივი სცენ მათი მხარდამჭერების ნებას, რომელთა ორი მესამედი, როგორც ეს უკანასკნელმა სოციოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, მათი ფავორიტი პარტიების პარლამენტში შესვლის მომხრეა.

გარდა ამისა, ჩვენ გავითვალისწინეთ ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების დამოკიდებულება საკითხისადმი, რომელიც რადიკალური ოპოზიციისთვის კონსტრუქციულ რელსებზე გადასვლის კიდევ ერთი შანსის მიცემისკენ იხრება.

ბოლოს, გვაქვს ინფორმაცია, რომ დამატებით 20-მდე ოპოზიციონერ დეპუტატს სურს პარლამენტში შემოსვლა, თუმცა, შანტაჟისა და ბულინგის გამო ვერ ახერხებენ დღემდე ამ ნაბიჯის გადადგმას. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამ დეპუტატებს მივცეთ საპარლამენტო მანდატების შენარჩუნების კიდევ ერთი შესაძლებლობა“ – ნათქვამია „ქართული ოცნების“ განცხადებაში.

## ეკა ბესელია: „უმრავლესობამ კონსტიტუციას კიდევ ერთხელ გადააბიჯა“

პარტია „სამართლიანობისთვის“ ლიდერის ეკა ბესელიას განცხადებით, 2 თებერვლის გადაწყვეტილებით უმრავლესობამ კონსტიტუციას კიდევ ერთხელ გადააბიჯა, რაც ძალიან საშიშ პრეცედენტებს ქმნის.

ამის შესახებ ბესელიამ ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსში“ განაცხადა.

მისივე თქმით, არანაირი პოლიტიკური გადაწყვეტილება კონსტიტუციის დარღვევას არ ამართლებს.

– არანაირი პოლიტიკური გადაწყვეტილება კონსტიტუციის დარღვევას არ ამართლებს. ჩვენ რა ვნახეთ?! 39-ე მუხლი, რომელიც პირდაპირ დაირღვა. ამ მუხლში პირდაპირ წერია უფლებამოსილების შეწყვეტის პირდაპირი საფუძვლები. ევროკავშირის ელჩს, სხვათა შორის, არ უთქვამს, ჩააგდეთ კენჭისყრაო. ელჩმა, რომელსაც მე ძალიან დიდ პატივს ვცემ, დიპლომატიურად თქვა: „არ დავხუროთ მოლაპარაკების კარი“ და როგორ არ უნდა დაიხუროს ეს სივრცე, სხვა საკითხია.

დიალოგის ფორმატი ის სივრცეა, რაც მას არ დახურავს. ეს, დღეს უმრავლესობამ კონსტიტუციას კიდევ ერთხელ გადააბიჯა, ძალიან საშიშ პრეცედენტებს ქმნის, – განაცხადა ბესელიამ.

## თაკო ჩარკვიანი: „ელისაშვილს, როგორც სალახანას, ისე მოექცნენ“

– ჩვენ კი არა, იქ ვინც არიან, მათ არ აინტერესებთ ელისაშვილი, როგორც სალახანას, ისე მოექცნენ დღეს, საოცრება, წარმოუდგენელი ამბავი იყო. ამის შესახებ პარტია „კანონი და სამართლის“ ლიდერმა თაკო ჩარკვიანმა ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსში“ განაცხადა.

როგორც ჩარკვიანი განმარტავს, ალეკო ელისაშვილის ხმა პარლამენტში შედეგის მომცემი არ არის.

– ეს დადგმული, სულელური რაღაც სპექტაკლია, დებატი ვის სჭირდება, მოსახლეობას შედეგი სჭირდება, შედეგი თუ ვერ დადე, იდებატე და დადგი ის სპექტაკლი. შედეგი მაინტერესებს, სამართლებრივად ელისაშვილმა რა სარგებელი შეიძლება მოუტანოს საზოგადოებას და ხალხს. სამართლებრივად რისი უფლება აქვს? საკამათოც არ არის, პროცენტულად რა შეუძლია გააკეთოს, მისმა ორმა ხმამ რა უნდა გააკეთოს? – განაცხადა ჩარკვიანმა. მისივე განმარტებით, საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს პარლამენტი ერთპარტიულია, ხელისუფლება კი ამბობს, რომ ერთპარტიული არ არის. „სინამდვილეში, სალომე ზურაბიშვილმა ამ ერთხელ თქვა სწორი, რომ პარლამენტი ერთპარტიულია და ეს იციან, ერთპარტიული პარლამენტი თითქმის, მთელ მსოფლიოში დიქტატორულ ქვეყნებთან ასოცირდება“ – განაცხადა ჩარკვიანმა.

## თამარ ბაჩალიაშვილის ოჯახმა და ადვოკატმა რამიშვილმა სასამართლოში საჩივარი შეიტანეს

გარდაცვლილი პროგრამისტის, თამარ ბაჩალიაშვილის ოჯახის ადვოკატებმა და მშობლებმა თბილისის საქალაქო სასამართლოში საჩივარი შეიტანეს. ისინი გარდაცვლილის მამისთვის, ჯუმბერ ბაჩალიაშვილისთვის დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსის დაბრუნებასა და საქმის ხელახალ გამოძიებას ითხოვენ.

როგორც ადვოკატი მიხეილ რამიშვილი აცხადებს, თუკი მათ საჩივარს სასამართლო არ დააკმაყოფილებს, ისინი სტრასბურის სასამართლოს მიმართავენ.

– ჩვენ გავასაჩივრეთ ქალაქის პროკურორის დადგენილებები გენერალურ პროკურატურაში, მათ ისევე დააბრუნეს დადგენილება ქალაქის პროკურატურაში, სადაც უარი გვითხრეს და საჩივარი არ დაგვიკმაყოფილეს.

სასამართლოში შეტანილ საჩივარში დავაფიქსირეთ, რომ აღნიშნული დადგენილებები არის უკანონო. არანაირი ექსპერტიზის დასკვნა არ არსებობს, რომ მედიკამენტებზე, რომლებიც აღმოჩენილი იყო თამარის ავტომობილში, დნმ-ის ექსპერტიზა არის ჩატარებული, ეს ექსპერტიზა არ ჩაუტარებიათ. არსებობს ძალიან ბევრი დარღვევა, რომლებიც ბოლო წუთს, თითქოს, გაგვაცნო პროკურატურამ.

ვიმედოვნებ, მოსამართლეს არ დაავიწყდება, რომ თუ საქმეს არ დააბრუნებს გამოძიებაში, ეს საქმე სტრასბურში გასაჩივრდება, შესაბამისად, ყველასათვის ნათელი იქნება ის უკანონობა, რომელიც დღემდე მიმდინარეობს. თუ საქმე არ აღდგება გამოძიებაში და არ აღდგება უფლებამონაცვლის სტატუსი ჯუმბერ ბაჩალიაშვილისთვის, რა თქმა უნდა, სტრასბურში გასაჩივრდება ყველაფერი და გამოჩნდება, როგორ არ არსებობს მართლმსაჯულება და ობიექტური გამოძიება საქართველოში.

გავასაჩივრეთ პროკურატურის უარი, ყველა ის დადგენილება, რომლითაც ჩვენ საჩივარს უარი ეთქვა, რომ საქმე გამოძიებაში აღდგენილიყო და აღმდგარიყო უფლებამონაცვლის სტატუსი. ყველა დადგენილებაში არის სიცრუის კასკადი და არანაირი დასკვნა არ არსებობს, რომ მედიკამენტები თამარის მიერ იყო გამოყენებული, – განაცხადა რამიშვილმა.




**შევიძენ**

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,

ნახატ სურათებს,

ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

# „პარლამენტში 2000 წლის შემდეგ ოპოზიცია არ ყოფილა“

## მამუკა გიორგაძე: „თუ ბიძინა ივანიშვილი არ უპასუხებს „ქართული ოცნებიდან“ წამოსულ ზარებს, ქვეყანაში ისეთი ამბავი ატყდება, დედა შვილს არ აიყვანს ხელში“

მარიამ მჭედლიშვილი

**ქვეყანაში შექმნილ კრიზისულ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა სახალხო პარტიის ლიდერს, ყოფილ დეპუტატს, მამუკა გიორგაძეს.**

***— პარლამენტში ოპოზიციონერი დეპუტატების მანდატების თაობაზე კენჭისყრამდეც ქვეყანაში მთავარი თემა გახდა ოპოზიციის პარლამენტში ყოფნა-არყოფნა. რა ხდება დღეს? 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ შექმნილ სიტუაციას აფასებდით მართვად ქაოსად.***

— ეს ყველაფერი გრძელდება. უბრალოდ, პროცესებს ემატება ახალი ეპიზოდები და მიზანსცენები. ვითარება უნდა იყოს ქაოტური, დრამატული ქმედებებითა და ემოციური გამოსვლებით. არის საზოგადოების ნაწილი, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო სიღრმისეულად არ უყურებს მოვლენებს. ამიტომ, ძალისხმევა მიმართულია იქით, რომ ის მოტყუვდეს და დაიჯეროს, რომ პოლიტიკაში მართლაც ასეთი მძაფრი დაპირისპირებაა და ვიღაცა ვიღაცას რაღაცას უგებს. მახსენდება გურამ დოჩანაშვილის ნაწარმოები, სადაც სირბილში ერთმა რვა თუ ათ კაცს აჯობა. ეს კაცი გამარჯვებულია, მაგრამ მას უპირატესობა ეძლევა რამდენიმეს შორის. დღევანდელ პოლიტიკაშიც ასეა – არც „ქართული ოცნებაა“ გამარჯვებული და არც ნაციონალური მოძრაობა. საერთოდ ვერ გავიგეთ, რა უნდა ქვეყნისგან „ქართულ ოცნებას“ და ნაცმოძრაობას!

***— დააზუსტეთ.***

— გამოცდილი ჟურნალისტი ხართ. გაარკვიეთ, რა იდეოლოგისაა ან ერთ, ან მეორე პარტია? ნებისმიერი პარტია რომელიმე იდეოლოგიას უნდა ეყრდნობოდეს. როცა არც იდეოლოგია გაქვს, როცა სპექტაკლებში მონაწილეობ, პოლიტიკაზე არ ბჭობ, რა მნიშვნელობა აქვს, რამდენი დეპუტატი იჯდება პარლამენტში?! შექმნილ სიტუაციაში მნიშვნელობა არა აქვს, პარლამენტში 90 დეპუტატი იჯდება თუ 150. რას გააკეთებ, ისაა მთავარი. თუ შედიხარ, გვითხარი, რას აპირებ. თუ არ შედიხარ, ისიც გაგვაგებინე, რა გეგმები გაქვს. პოლიტიკოსებს უნდა ჰქონდეთ ხედვა აფხაზეთთან, ცხინვალის რეგიონთან, დეოკუპაციასთან დაკავშირებით. ამ პოლიტიკოსებისგან ეს ხედვები არ მოგვისმენია. არც ის გაგვიგია, რატომ არ იღებენ (არც ერთი და არც მეორე მხარე) ლუსტრაციის კანონს. ჩვენ შესაფასებელი გვაქვს მთელი უახლესი ისტორია. რატომღაც სიმართლე პრივატიზებული აქვს ხელისუფლებას. დანარჩენებს ყურს არ ათხოვებენ. არ ტოვებენ ადგილს იმ ადამიანებისათვის, ვინც „ქართულ ოცნებასთან“ არაა და ამავე დროს ვისთვისაც მიუღებელია ნაციონალური მოძრაობა.



***— ენდიაის ბოლო კვლევით (იანვარში გამოქვეყნებული დეკემბრის მონაცემებია) „ქართულ ოცნებას“ 31%-იანი მხარდაჭერა აქვს, ნაცმოძრაობას კი 5%-იანი. ეს რისი მანიშნებელია?***

— საზოგადოება ეძებს სხვა ძალებს. მესამე ძალაზე კი არ ვსაუბრობ, რომელიც იმ ორ ძალაზეა დამოკიდებული. საზოგადოებას აქვს მოთხოვნა სხვა, მათგან განსხვავებულ პოლიტიკურ სუბიექტებზე. არსებობს დაკვეთა პოლიტიკურ მრავალფეროვნებაზე. „ქართული ოცნება“ ხელს უწყობს ნაციონალური მოძრაობის გაძლიერებას. აწყობს ასეთი ოპოზიცია. მმართველ პარტიაში ბევრია ისეთ, რომელიც უყოყმანოდ გადაბარგდება ნაციონალურ მოძრაობაში, თუ ის ძალაუფლებას დაიბრუნებს. იქმნება კომიკური ვითარება, სატირალი რომ არ იყოს. დეპუტატებს ეკითხებიან, რას გააკეთებენ საკანონმდებლო ორგანოში. ისინი პასუხს ვერ იძლევიან. არ იციან, რომ პარლამენტში პოლიტიკა უნდა აკეთონ.

***— ახალ სახეებზე საუბრობთ?***

— ახალზეც და ძველზეც. არ მესმის, რას ნიშნავს ახალი სახე პოლიტიკაში. პოლიტიკაში ადამიანი ფასდება თავისი განვლილი პოლიტიკური გზით, ხედვებით, პოზიციებით. გამოუცდელ და არაკომპეტენტურ ექიმთან მისვლა არავის უნდა. პოლიტიკა რატომ გახადეს არაპროფესიონალების ბუდე, ვერ გამიგია. იყავი ფიზიკოსი ან ტურიზმის მენეჯერი, მაგრამ არჩევამდე პოლიტიკური გზა უნდა გქონდეს გავლილი!

***— ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან გასვლისა ბევრს არ სჯერა, თუმცა, „ოცნების“ ამომრჩევლისათვის ის წასულია. თქვენ რას იტყვით?***

— ამ კუთხით არ გამოვრიცხავ მძაფრ მოვლენებს. ყველაფერს ნათელი მოეფინება ერთ-ორ თვეში. თუ ბიძინა ივანიშვილთან დაკონტაქტებას ეცდებიან „ქართული ოცნების“ აქტიური წევრები და ის არ უპასუხებს „ოცნებიდან“ წამოსულ ზარებს, ისეთი ამბავი ატყდება, დედა შვილს არ აიყვანს ხელში. თუ ასეთი კონტაქტები შედგება და ამის თაობაზე შეიტყობენ ისინი, ვის წინაშეც ივანიშვილმა აიღო ვალდებულება (გარე ძალები), მაშინ ის უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდება. ნებისმიერ შემთხვევაში აღმოვჩნდებით კრიტიკულ მდგომარეობაში.

***— სხვა სახის კრიზისიც იქნება? ეკონომიკაც რომ გაიხსნას, უამრავი პატარა კომპანია, მცირე და საშუალო ბიზნესი თითქმის ყველა სფეროში გაკოტრების პირამდეა მისული.***

— სამწუხაროდ, ეკონომიკაში უმძიმესი პრობლემებია. ისედაც რა დონის ეკონომიკა ჰქონდა საქართველოს! ამ ფაქტობრივად ერთწლიანმა გაჩერებამ ხომ მთლად სული გააფრთხობინა. ამას თან ერთვის პოლიტიკური პროცესები. „ქართულმა ოცნებამ“ დაკარგა თავისი ნდობა. 2012 წელს მოსახლეობის 90% მისი მომხრე იყო. ახლა ხშირად ამბობენ, რომ ნაციონალურ მოძრაობას არჩევნებში ნახევარი მილიონი ხმა აქვს აღებული. „ოცნება“ არ აანალიზებს, რომ ეს გარკვეულწილად მისი საწინააღმდეგო ხმებია. ბევრისთვის ეს ორი პარტია ერთიმეორის გაგრძელებაა. „ქართულმა ოცნებამ“ გააგრძელა ნაცმოძრაობის კურსი. ახალ რომ გაიძახიან, ერთპარტიული პარლამენტიო, მანამდეც ასე არ იყო?!

***— რაზე საუბრობთ?***

— 2000 წლის შემდეგ საქართველოს არც ერთი მოწვევის პარლამენტში არ ყოფილა ნამდვილი ოპოზიცია. ოპოზიციად ითვლებოდა ის, ვინც ვერ დაალაგებდა ზოგიერთ თემას ხელისუფლებასთან. არც მოქალაქეთა კავშირი და აღორძინება ყოფილან ერთმანეთის ნამდვილი ოპონენტები და არც სხვები. „მრეწველთა კავშირით“ დაწყებული, გიორგი თარგამაძის „ქრისტიან-დემოკრატებით“ დამთავრებული, არც ერთი არ ყოფილა ოპოზიცია. სააკაშვილმა ფაქტობრივად ალაგმა ოპოზიცია პარლამენტში. „ახალი მემარჯვენეები“ მიიჩნეოდნენ სააკაშვილის ოპოზიციად. არადა, მათ დაუჭირეს მხარი სააკაშვილისათვის უსაზღვრო უფლებამოსილებების გაზრდას. ახლა, რამდენი ხანია, გვაყურებინებენ აბსურდულ სცენებს – მმართველი პარტია იხვეწება, პარლამენტში შემოდითო, ოპოზიცია კი ცოცხალი თავით ამას არ შვრება. ნაციონალურ მოძრაობას პარლამენტის ტრიბუნა დიდად არ სჭირდება.

***— რატომ არ სჭირდება?***

— იმიტომ, რომ ტელევიზიები ემსახურება და დაფინანსებაც განაღდებული აქვს. სამი არხი თუ შენზე იმუშავებს, ყოველდღე პარლამენტში რატომ ივლი?! ეს დამღლელია. არ ჯობია, ჩართვებსა და გადაცემებში გამოთქვა აზრები? იქ „ივაჟკაცებენ“. „ქართული ოცნებაც“, თავის მხრივ, „იკაცებს“ და იძველბიჭებს. ქვეყნის ინტერესები ისევ უკან გადაიწევს. ავიღოთ დავითგარეჯი. ვინ დაიჭირეს, ვინ გამოუშვეს, ვინ მტერია, ეს სხვა საკითხებია. მე მაინტერესებს ხელისუფლების გეგმა. დავითგარეჯზე, მთავარია, ქართულმა მხარემ დაიცვას ჩვენი ინტერესები აზერბაიჯანთან მოლაპარაკებებისას. იქაც თუ ის ვიმეორეთ, ჩვენი არ არისო, კარგად ყოფილა ჩვენი საქმე. ასეთი „პარაჟენცული“ პოზიცია დამღუპველია. საინტერესოა, რატომ ჩააცივდნენ მარტო 1938 წლის რუკას? საქართველოს ოკუპაცია მოხდა 1921 წელს. ჩვენამდე განხორციელდა აზერბაიჯანის ოკუპაცია. ჩვენი სახელმწიფო არის 1918-21 წლების საქართველოს სამართალმემკვიდრე. აქაც საბჭოთა კავშირის ტრადიციებიდან გამოდიან და გვარწმუნებენ, თითქოს საბჭოთა იმპერიის ნამსხვრევი ვართ და მანამდე სახელმწიფო არ გვქონია.

# ჯონდი ბაღათურია: „სააკაშვილს დავითგარეჯის გასხვისებაში ბრალი მეც დავდე“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი ჯონდი ბაღათურია პასუხობს.**

***— ბატონო ჯონდი, მელაშვილის გამოშვებაზე თქვენ ფეისბუქზე დაწერეთ, იუდა გამოუშვესო.***

— გადაცემაში მელაშვილის განცხადებები მართლაც იუდა ისკარიოტელის ღალატს წააგავდა, ე.ი, პირდაპირ, ღიად მიდიოდა საკუთარი ერისა სიწმინდის, დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსისა და მისი კუთვნილების, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ ბრძოლა. მიუხედავად ამისა, იმხელა დარბაზში პოლიტიკური სპექტრის თითქმის ნახევარი იყო, ერთი კაცი არ აღმოჩნდა ისეთი, რომელიც მიუთითებდა, რომ მელაშვილი უბრალოდ მოღალატეა და სხვა არაფერი.

***— ყველაზე მეტად აღმაშფოთა და გამაოგნა მელაშვილის მტკიცებამ და ბობოხიძის განცხადებამ, რომელმაც კვერი დაუკრა მას. გარეჯის ნაწილი საქართველოსი არ არის, აზერბაიჯანისაა, არა ისტორიულად, არამედ ახლაო.***

— ბობოხიძე მათგან განსხვავებული არ არის, ვინც ამბობს, დავითგარეჯი საქართველოს კუთვნილება არ არისო, მით უმეტეს, ვინც ამას ხმამაღლა გაიძახის მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ, ის საქართველოს მოღალატეა მორალურად, პოლიტიკურად და სამართლებრივად. მას სახელმწიფო ღალატის მუხლით სასჯელი ეკუთვნის.

***— რა აწუხებს ამ შემადგენლობას?***

— ისინი ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები არიან. ამიტომ ღიად და აშკარად ცდილობენ დანაშაულის კვალის წაშლას. ყველანი ვხვდებით, რომ ამ ისტორიულ ღალატში დიდი ფულია გადახდილი.

***— მელაშვილმა განაცხადა, არ არის შენი, რატომ უნდა მოგცესო. თან სხვებს უწუნებს ქცევას, პოზიცია თანმიმდევრულად უნდა ჩამოაყალიბოო, თითქოს თვითონ ძლიერი მომლაპარაკებელია.***



— მელაშვილი სამართლებრივად ორმოშია. მე ამ საქმეს ვიცნობ. ამ საქმეში ერთ-ერთი მთავარი მოწმე მე ვარ. ამ საქმეზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა პარლამენტში ჩემი ერთ-ერთი განცხადების საფუძველზე, როდესაც მე საქართველოს პრეზიდენტ სააკაშვილს ბრალი დავდე სახელმწიფო ღალატში, დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის გასხვისებაში და პარლამენტში მისი იმპიჩმენტის პროცედურა დავიწყე.

ჩემმა განცხადებამ და ამ საფუძველმა საშუალება მომცა იმისა, საქმის დეტალებს გავცნობოდი. მელაშვილის საქმე ძალიან ცუდადაა. ამიტომ ვარ გაკვირვებული და გაბრაზებული მისი პატიმრობიდან გათავისუფლების გამო. თუ დოკუმენტებს კარგად წაიკითხავ, პირდაპირ ჩანს, მიზანმიმართული სახელმწიფო ღალატი – არა შეცდომით, არამედ მიზანდასახულად, გეგმაზომიერად ჩადენილი ღალატი.

***— ალბათ, იმედი აქვთ, ღალატის მუხლით არ დასჯიან, რადგან სს კოდექსიდან შესაბამისი მუხლი ამოღებულია.***

— ამ მუხლს აღვადგენ. როცა მელაშვილს მიუსჯიან, მაშინ ღალატის მუხლი აღდგენილი იქნება. ჯერ ერთი, მელაშვილს 15-წლიანი სასჯელი ემუქრება. მოსამართლემ მელაშვილს 15-წლიან სასჯელზე ერთი დღით ნაკლები რომ მიუსაჯოს, იმ მოსამართლეს საქართველოში აღარ დაედგომება, მაგრამ მოღალატის სახელი უფრო უკეთესია. მელაშვილის ქცევა მოღალატის ქცევაა.

ყველანაირად შევეცდები, ღალატის მუხლი სასწრაფოდ აღდგეს, რომ მელაშვილი თავისი მოღალატური განცხადებების გამო, 307-ე – სახელმწიფო ღალატის მუხლით გასამართლდეს. ყველა მოღალატეს მოღალატის სახელი უნდა დაერქვას, შვილიშვილებზე უნდა გადავიდეს და მათმა თაობებმა უნდა იცოდნენ, რომ მათი მამა თუ ბაბუა მოღალატე იყო – ბრალად ედებოდა დავითგარეჯის ტერიტორიის გასხვისება.

***— მელაშვილისა და მისი დამცველების განცხადებები აზერბაიჯანთან მომავალი მოლაპარაკებების პროცესს რამდენად დააზიანებს?***

— მოლაპარაკების პროცესს ძალიან დააზიანებს. ამ შემთხვევაში დანაშაულის ტვირთი მმართველ პარტიას აქვს – ასეთი მოღალატისთვის არ უნდა მიეცა საშუალება, ტელევიზიის ტრიბუნები გამოეყენებინათ. ის ღალატს ღიად სჩადის.

# ნიკა გვარამია: „თეა წულუკიანის მიერ ჩემი ტელეფონის საჯაროდ გამოცხადება ჩემი პირადი დევნაა“

— მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, მოცემული პროცესი ზედმეტი პოლიტიკური კონტექსტიდან და შეფასებებისგან გავათავისუფლოთ.

ამის შესახებ 2 თებერვალს ნიკა გვარამიას საქმის მოსამართლემ ლაშა ჩხიკვაძემ სასამართლო პროცესზე განაცხადა.

მან ვრცელი განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ ის პოლიტიკური პროცესებისგან შორს არის და გადაწყვეტილებას მტკიცებულებებიდან გამომდინარე მიიღებს.



— ვერ დამიდასტურებთ იმ მოცემულობას, რომ სასამართლო პოლიტიკური კონტექსტით მონაწილეობს ამ საკითხში. ძალიან შორს ვარ რაღაც ტიპის პოლიტიკური პროცესებისგან და ამაში დაგარწმუნებთ ჩემი მონაწილეობა მოცემული საქმის განხილვაში. ყველას მოვუწოდებ, სასამართლოს და მხარეებს, მოგვცენ საშუალება, გონივრულობის ფარგლებში, ზედმეტი ემოციების გარეშე გამოვიკვლიოთ მტკიცებულებები და რასაც მოგვცემს შესაძლებლობა, გარწმუნებთ, შედეგი მტკიცებულებებიდან გამომდინარე იქნება, – განაცხადა ჩხიკვაძემ.

ნიკა გვარამიას თქმით კი, იმის გამო, რომ უმრავლესობის დეპუტატმა თეა წულუკიანმა პარლამენტის სხდომაზე საჯაროდ მისი მობილურის ნომერი გამოაცხადა, მას ურეკავენ და ეს უკვე პირადი დევნაა.

— ნახევარი საათის წინ, ღია ეთერში გამოაცხადა თეა წულუკიანმა ჩემი მობილურის ნომერი. ასევე გამოაცხადა, რომ მე, თურმე, ოპოზიციას პარლამენტში არ ვუშვებ. „ქართულ ოცნებას“ სჯერა, რომ ვიღაცას არ ვუშვებ პარლამენტში, ჩემი ტელეფონი არ ჩერდება, ეს უკვე პირადი დევნაა, პირადი ინფორმაციის გამჟღავნებაა. პოლიტიკური კონტექსტი არათუ მოიხსნა, გაძლიერდა.

ნორმალურ ქვეყანაში თქვენ იქნებოდით თითით საჩვენებელი მოსამართლე თქვენი გონებრივი შესაძლებლობების და უნარების გამო, რომლებიც გაქვთ, ნუ გააკეთებთ იმას, რასაც არცერთ ვითარებაში არ გააკეთებდით, ზურგს რომ არ იყოს თქვენზე. ნუ იტყვით, რომ ან პოლიტიკური, ან პანდემიური ფაქტორი მოიხსნა, – განაცხადა გვარამიამ.

აღნიშნულ მოსამართლემ უპასუხა, რომ ამ ინფორმაციას გაცნობილი არ არის და, მისი შეფასებით, ეს ფაქტი ძალიან სამწუხაროა.

ნიკა გვარამიას, კახაბერ დამენიასა და ზურაბ იაშვილის სასამართლო პროცესი 11 თებერვალს, 15:00 საათზე გაიმართება.

* * *

**თეა წულუკიანის საქციელი ექსპერტმა გია ხუხაშვილმა ასე შეაფასა:**

— იუსტიციის მინისტრი იყავი, ეს ქალი მართლმსაჯულების გარანტი იყო, რომ გამოდიხარ, ოპონენტის ნომერს საჯაროდ ამბობ, რაც არ უნდა ცუდი და საზიზღარი იყოს, როდესაც ასეთი პოლარიზაციაა საზოგადოებაში და ფაქტობრივად მის სიცოცხლეს საფრთხეს უქმნი, ხომ გასაგებია, რა მართლმსაჯულება ააშენა ამ ქალმა?! თავისნაირი მანკიერი, ამორალური აბსოლუტურად.

ადამიანს მორალზე საერთოდ წარმოდგენა არა აქვს. აი, ასეთი იუსტიციის მინისტრი გვყავდა! ახლა კულტურასა და განათლებასაც ფსკერზე დაიყვანს.

## დავით დარჩიაშვილი პროკურატურაში დაიბარეს



„ევროპული საქართველოს“ ყოფილი წევრი, დავით დარჩიაშვილი დავითგარეჯის საქმესთან დაკავშირებით გენერალურ პროკურატურაში დაიბარეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ დავით დარჩიაშვილმა განუცხადა, საგამოძიებო უწყებაში 3 თებერვალს, 12:00 საათზე უნდა გამოცხადდეს.

„მიბარებენ პროკურატურაში გარეჯის საქმეზე. ვაპირებ ავუხსნა, რომ ესაა ვიშინსკის სტილის საქმე: აი, ძველ სპეცებს მრეწველობაში რომ საბოტაჟს აბრალებდნენ კომუნისტების შეკვეთით, ისეთი“ – წერს დარჩიაშვილი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე.

## შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 805 ფაქტი გამოავლინა



შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად ბოლო 24 საათის განმავლობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 805 ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 164 ფიზიკური პირი დააჯარიმა.

დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 21 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს.

გარდა ამისა, 24 საათის განმავლობაში პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 641 ფიზიკური პირი დაჯარიმდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს.

პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11) -ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით.

იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10.000 ლარის ოდენობით.

განმეორებითი ჯარიმა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

## თამაზ ხომასურიძემ პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმება ითხოვა



ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის საქმეზე დაკავებული არასრულწლოვნის, ზ.ხ.-ს მამის, თამაზ ხომასურიძის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე ადვოკატმა მამუკა ბასილაშვილმა პროკურატურას საპროცესო შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით მიმართა.

პარალელურად, ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში თამაზ ხომასურიძეს სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზა უტარდება. აღნიშნულმა ექსპერტიზამ უნდა გასცეს პასუხი კითხვაზე, იყო თუ არა თამაზ ხომასურიძე დანაშაულის ჩადენისას შერაცხადი.

თამაზ ხომასურიძეს ცრუ ჩვენების მიცემას, მტკიცებულებების ფალსიფიკაციას, მუქარასა და სასჯელაღსრულების დაწესებულების რეჟიმის ინსპექტორზე თავდასხმას ედავებიან.

## პოლიციამ სააკაშვილის მეგობარი ვახტანგ ბერიძე დააკავა





შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე 1984 წელს დაბადებული ვ.ბ. თაღლითობის მცდელობის ფაქტზე დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, 1969 წელს დაბადებულ კ.ლ.-სთვის, ევროპის ერთ-ერთი ქვეყნის აიდი ბარათის დამზადების სანაცვლოდ მოტყუებით დაეუფლა 300 აშშ დოლარს.

კერძოდ, შეხვედრაზე ვ.ბ.-მ კ.ლ.-ს შესთავაზა ევროპის ნებისმიერი ქვეყნის აიდი ბარათის დამზადება, რომლის მეშვეობითაც იგი სასურველ ქვეყანაში უპრობლემოდ ცხოვრებას შეძლებდა, ასევე განუმარტა, რომ აიდი ბარათის ღირებულება იყო 5.680 აშშ დოლარი და შეეძლო ამ თანხის ეტაპობრივად გადახდა. ვ.ბ.-მ კ.ლ-ს 300 აშშ დოლარი წინასწარ მოტყუებით გამოართვა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ვ.ბ. თბილისში დააკავეს. დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებულია სხვადასხვა მოქალაქეების პირადობის მოწმობები და სხვა დოკუმენტები.

თაღლითობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

„პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა, რომ დაკავებულია ოპოზიციური ორგანიზაცია „შეცვალეს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ვახტანგ ბერიძე.

ბერიძე „ნაციონალური მოძრაობის“ და პირადად მიხეილ სააკაშვილის აქტიური მხარდაჭერით გამოირჩევა, რასაც მისი ფეისბუქ პოსტებიც ადასტურებს.

სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ფოტოებით ირკვევა, რომ ვახტანგ ბერიძე თანამოაზრეებთან ერთად კიევში მიხეილ სააკაშვილსაც სტუმრობდა.

## ანი გაბეჩავამ მერსედესის 5 მგზავრი ამოიცნო



გიორგი შაქარაშვილის საქმეზე ჯგუფური ძალადობის, ორგანიზების, მასში მონაწილეობასა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის ეპიზოდზე თბილისის საქალაქო სასამართლოში ერთ-ერთი მთავარი მოწმე, ანა გაბეჩავა დაიკითხა.

როგორც დაკითხვის შემდეგ მოწმემ განმარტა, მან მხარეთა კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა და დაადასტურა, რომ ვიდეოჩანაწერში, რომელიც სხდომაზე წარუდგინეს, ბრალდებულების იდენტიფიცირება შეძლო.

– ამომწურავი ინფორმაცია მივეცი იმის შესახებ, რაც აინტერესებდათ, რაც კითხვები იყო დასმული, ყველაფერს გავეცი შესაბამისი პასუხი. კონკრეტულად ამ ბავშვებთან დაკავშირებით, ისეთი უცხო არაფერი ყოფილა, – განაცხადა ანა გაბეჩავამ.

პროკურორ ვახტანგ ცალუღელაშვილის თქმით, მოწმემ ხუთივე ბრალდებულის, მერსედესის მგზავრების ინდენტიფიცირება მოახდინა.

– სასამართლო სხდომაზე დაკითხულ იქნა მოწმე ა.გ, რომელმაც დეტალურად ისაუბრა მის წვეულებაზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, ასევე, ისაუბრა იმ ფაქტთან დაკავშირებით, თუ როგორ შეესწრო დაბადების დღის ცენტრთან ფიზიკურ დაპირისპირებას. ამის შემდეგ, ასევე ისაუბრა იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელიც შემდგომ მისთვის გახდა ცნობილი.

ასევე, მისი თანდასწრებით მოხდა ე.წ ქაბელჰაუსის სათვალთვალო კამერიდან ამოღებული ვიდეო ჩანაწერის დათვალიერება. იდენტიფიცირება მოახდინა 3, მთლიანობაში 5 ბრალდებულის, დაასახელა მათი სახელები, განმარტა თუ რა გარემოებით ამოიცნო ისინი, – განაცხადა პროკურორმა.

ერთ-ერთი ბრალდებულის, თენგო ბარბაქაძის ადვოკატი, გიორგი ფოფხაძე ამბობს, რომ მოწმეს არავინ უმხელია.

– ბატონ ვახოს ძალიან დიდ პატივს ვცემ, პროკურორს, და ასეთი მტკნარი სიცრუე არა მგონია ეთქვა, ვინაიდან არავინ არაფერში უმხელია. ბუნებრივია, ამოიცნო თავისი კლასელები, თუმცა იქაც ძალიან ორაზროვნად ისაუბრა, – აცხადებს ადვოკატი.

## ოთარ ფარცხალაძე ლაშა თორდიას ცემის საქმეში გაამართლეს



ყოფილი მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე, რომელსაც ყოფილი გენერალური აუდიტორის, ლაშა თორდიას ცემას ედავებოდნენ, სასამართლომ გაამართლა.

აღნიშნული გადაწყვეტილება, რომელიც თბილისის საქალაქომ რამდენიმე დღის წინ მიიღო, ექსკლუზიურად „ინტერპრესნიუსისთვის“ გახდა ცნობილი.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, აღნიშნულ საქმეზე დამნაშავედ იქნა ცნობილი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ყოფილი თანამშრომელი მიხეილ ჩოხელი და მას 5.000 ლარის ოდენობით ჯარიმა დაეკისრა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პროკურატურაში განუცხადეს, აღნიშნულ გადაწყვეტილებას სახელმწიფო ბრალდება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს.

ფარცხალაძესა და მიხეილ ჩოხელს სახელმწიფო ბრალდება ყოფილი გენერალური აუდიტორის, ლაშა თორდიას ცემას ედავებოდა. დაზარალებული ლაშა თორდია საქართველოში არ იმყოფება.

შეგახსენებთ, რომ ლაშა თორდიას განცხადებით, მას თავს ყოფილი მთავარი პროკურორი, ოთარ ფარცხალაძე დაესხა და დაცვის წევრებთან ერთად ფიზიკურად გაუსწორდა. მისივე თქმით, თავდასხმა აუდიტის სამსახურის საქმიანობას ეხებოდა.

სასამართლოს გადაწყვეტილებას ლაშა თორდია სოციალურ ქსელში გამოეხმაურა.

„მოლოდინი არც მქონია სხვა შედეგის, მაგრამ ასე სამარცხვინოდ თუ გააკეთებდნენ ყველაფერს, ნამდვილად არ წარმომედგინა!

ბანდიტი და მართლმსაჯულება“ – დაწერა ყოფილმა გენერალურმა აუდიტორმა ფეისბუქში.

## ჩხოროწყუში მე-7 კლასელებს მერიის ტუალეტი ახეხინეს




ჩხოროწყუს ერთ-ერთი სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლეებს „დასუფთავების აქციის“ ფარგლებში მერიის საპირფარეშო დაასუფთავებინეს.

როგორც „ლაივპრესს“ ჩხოროწყუს საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორმა ლია ჯალაღონიამ განუცხადა, მოსწავლეებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ რამდენიმე დღის წინ სკოლაში მივიდა მოქალაქე, რომელმაც საგანმანათლებლო დაწესებულებას დასუფთავების აქციაში მონაწილეობა შესთავაზა და დირექცია შეცდომაში შეიყვანა.

– ერთ-ერთი პირი მივიდა სკოლაში. უთხრა დირექტორს, რომ გამგეობასთან ერთად არის დასუფთავების პროექტი. უთხრა, სხვა სკოლებთან ერთად თუ მიიღებდნენ მონაწილეობას ამ აქციაში. დირექტორი შევიდა შეცდომაში, რადგან ასეთი საკითხები წყდება მხოლოდ სამინისტროს გავლით. ეს არის უხეში დარღვევა, რადგან, როდესაც სკოლაში შემოდის უცხო პირი, სამსახური, ყველაფერი წყდება სამინისტროს გავლით. დირექტორმა არ იცოდა, კონკრეტულად სად იყო ეს აქცია. მან უთხრა, რომ ეს იყო პროექტი და დირექტორიც შევიდა შეცდომაში, – განაცხადა ლია ჯალაღონიამ.

„დასუფთავების აქციის“ ამსახველი ვიდეომასალა სოციალურ ქსელში ერთ-ერთი მშობლის დახმარებით გავრცელდა. ვიდეოში ჩანან მოზარდები, რომლებიც წყლითა და სარეცხი საშუალებებით საპირფარეშოს რეცხავენ.

ლია ჯალაღონიას თქმით, ფაქტის ამსახველი ვიდეომასალა მას მომხდარიდან მეორე დღეს მიაწოდეს. მან კი, თავის მხრივ, დაუყოვნებლივ შეატყობინა განათლების სამინისტროს.

ამის შემდეგ საქმეში ჩაერთო შინაგან საქმეთა სამინისტრო.

„ლაივპრესს“ სამინისტროში განუცხადეს, რომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლით დაიწყო, რაც იძულებას გულისხმობს.

მუნიციპალიტეტის მერი, დათო გოგუა, ამბობს, რომ აქციის შესახებ არაფერი იცოდა.

– ეს იყო თვითნებობა. არავითარი შეთანხმება ამ საკითხზე მერიასთან და სკოლასთან არ ყოფილა. ეს იყო ერთი პიროვნების შემოქმედება. ყველაფერს გამოძიება დაადგენს და მერწმუნეთ, ყველა უმკაცრესად დაისჯება, რადგან ეს ყოვლად გაუმართლებელი ფაქტია, – განაცხადა „ლაივპრესთან“ საუბარში დათო გოგუამ.

## შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა უაქციზო თამბაქოს ნაწარმის ტრანსპორტირების ფაქტები გამოავლინეს




შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, ზუგდიდის რაიონში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, ჯამურად 145 ბლოკი უაქციზო თამბაქოს ნაწარმის ტრანსპორტირების ორი ფაქტი გამოვლინდა.

„ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველოს დასავლეთის განყოფილების თანამშრომლებმა, ზუგდიდის რაიონში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, ჯამურად 145 ბლოკი უაქციზო თამბაქოს ნაწარმის ტრანსპორტირების ორი ფაქტი გამოავლინეს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს უაქციზო საქონელი ჩამოერთვათ. აღნიშნულ ორ ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შესაძლო დანაშაულის ნიშნების არსებობის გამო, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 271-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, საქმეთა მასალები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეგზავნა“ – აღნიშნულია შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## მეხანძრე-მაშველებმა ტრავმატოლოგიური ცენტრის 5 პაციენტი გადაარჩინეს

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, მეხანძრე-მაშველებმა ტრავმატოლოგიური ცენტრის პაციენტები გადაარჩინეს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში შემოვიდა ინფორმაცია, რომ თბილისში, წინანდლის ქუჩაზე, გადაუდებელი ტრავმატოლოგიური ცენტრის შენობაში იყო ხანძარი.

ადგილზე უმოკლეს დროში მოხდა რვა სახანძრო-სამაშველო ეკიპაჟის მობილიზება. ძლიერი დაკვამლიანება და ღია ცეცხლი შეინიშნებოდა სამსართულიანი შენობის პირველ სართულზე. მეხანძრე-მაშველებმა ერთ-ერთ პალატაში მყოფი ხუთი პაციენტი უსაფრთხო პალატაში გადაიყვანეს, სადაც ექიმებს საშუალება მიეცათ მათთვის მკურნალობა გაეგრძელებინათ.

გამოძახებიდან ნახევარ საათში ხანძარი ლიკვიდირებული იყო. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა“ – აღნიშნულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციაში.

# ევროკავშირი არაწევრი ქვეყნებიდან მგზავრობაზე შეზღუდვებს ამკაცრებს




ევროკავშირმა არაწევრი ქვეყნებიდან ვიზიტორებისთვის შეზღუდვები გაამკაცრა, ბლოკის ელჩებმა ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან, მათ შორის გაერთიანებული სამეფოდან, მოგზაურობასთან დაკავშირებული ახალი ზომები ბრიუსელში გამართულ შეხვედრაზე შეათანხმეს.

ევროკავშირის ქვეყნებმა შეზღუდვების გარეშე, მათ შორის სავალდებულო კარანტინის გარეშე, ვიზიტორები მხოლოდ მკაცრი კრიტერიუმების გათვალისწინებით უნდა მიიღონ.

ვიზიტორი უნდა იყოს ისეთი ქვეყნიდან, სადაც ბოლო 14 დღის განმავლობაში ყოველ 100.000 მოქალაქეზე კორონავირუსის 25-მდე შემთხვევაა დაფიქსირებული.

ამასთან, სამგზავრო შეზღუდვები სასწრაფოდ უნდა ამოქმედდეს იმ ქვეყნებისთვის, სადაც კორონავირუსის ახალი, უფრო გადამდები ვარიანტებით ავადობის მაღალი კოეფიციენტია გამოვლენილი.

შეთანხმებას წევრი ქვეყნებისათვის რეკომენდაციის სახე აქვს და მათ საბოლოო გადაწყვეტილება თავიანთ სპეციფიკურ სასაზღვრო პოლიტიკაზე დაყრდნობით შეუძლიათ მიიღონ.

ევროკავშირის ზოგიერთმა ქვეყანამ, მაგალითად, გერმანიამ, უფრო მკაცრი შეზღუდვები დააწესა, ხოლო ბელგიამ არასავალდებულო მოგზაურობა მარტამდე საერთოდ აკრძალა.

# რომის პაპს დიეტაზე დაჯდომა ურჩიეს



რომის პაპ ფრანცისკს ექიმებმა დაჟინებით ურჩიეს კვების რაციონის შეზღუდვა და დიეტაზე დაჯდომა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მას მოუწევს უარი თქვას მაკარონის ნაწარმის მოხმარებაზე, ასევე თეთრ პურზე, პიცასა და ნებისმიერ ტკბილეულზე, მათ შორის, ტორტებსა და ნამცხვრებზე. ამის სანაცვლოდ მას უფრო მეტი ხილის, ბოსტნეულის, თევზეულის მიღება მოუწევს. ამასთან, მას კვების ულუფის ზომის შემცირებაც მოუწევს.

ასეთი რეკომენდაცია 84 წლის პონტიფიკს ექიმებმა რადიკულიტის მკურნალობის ფარგლებში მისცეს. აღნიშნული რეკომენდაციის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, მას შესაძლოა ოპერაციის გაკეთება დასჭირდეს.

– თუ ექიმების რჩევებს გაითვალისწინებს, მაშინ ყველაფერი კარგად იქნება. რომის პაპი თავისი კარგი მადითაა ცნობილი, – განმარტა ჟურნალისტებთან საუბარში ინფორმირებულმა წყარომ.

# მსოფლიოში კორონავირუსის ახალი შემთხვევების რაოდენობა კლებულობს



ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორის, ტედროს ადჰანომ გებრეიესუსის განცხადებით, უკვე მესამე კვირაა, რაც მსოფლიოში კორონავირუსით ინფიცირების ახალი შემთხვევები კლებულობს.

როგორც ჯანმოს ხელმძღვანელმა ჟენევაში გამართულ ვირტუალურ ბრიფინგზე განაცხადა, ინფიცირების შემთხვევების კლების ტენდენცია იმის მაჩვენებელია, რომ პანდემიის კონტროლი შესაძლებელია, თუმცა, მისივე თქმით, მსოფლიო ამ ეტაპზე სხვა დროსაც ყოფილა და მოდუნების დრო არ არის.

– გასული წლის განმავლობაში თითქმის ყველა ქვეყანაში იყო მომენტები, როდესაც შემთხვევები შემცირდა, მთავრობებმა ძალიან სწრაფად გახსნეს ქვეყნები, მოქალაქეებმა თავიანთი თავის დაცვა შეანელეს, რამაც ვირუსის დაბრუნება გამოიწვია, – აღნიშნა ტედროს ადჰანომ გებრეიესუსმა.

მისი თქმით, ბოლო კვირების განმავლობაში ინფიცირების მაჩვენებლის კლება გამამხნევებელი სიახლეა და სოციალური დისტანცირების დაცვით, პირბადეების ტარებითა და ჰიგიენის დაცვით ინფიცირების თავიდან აცილება და ვირუსის კონტროლი შესაძლებელია.

# ქალმა მძარცველი სექსზე დაითანხმა და პოლიციას ჩაუგდო ხელში




სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავაში უცნობი ქალი მძარცველთან სექსით დაკავდა და ამით მას პოლიციის მისვლამდე დანაშაულის ადგილიდან მიმალვაში ხელი შეუშალა.

ინციდენტი მოხდა იმ დროს, როდესაც 24 წლის სერბი ქალაქის გარეუბანში ავტოგასამართი სადგურის გაძარცვას ცდილობდა. თავდასხმის დროს მან რამდენჯერმე დაარტყა დაწესებულების თანამშრომელს, რის შემდეგაც სალარო აპარატიდან მთელი ფული ამოიღო. ამის შემდეგ დამნაშავე პირი სამსახურებრივი შენობისკენ გაემართა, სადაც მეორე თანამშრომელი იმყოფებოდა. სანამ ის სეიფის გახსნას მოითხოვდა, მეორე ქუჩაში გავარდა და პოლიციას მოუხმო დასახმარებლად.

ამ დროს საქმეში ჩაერია ქალი და მძარცველთან მიმართებაში სექსუალური მოძრაობების გაკეთება დაიწყო. როდესაც დანაშაულის ადგილზე მივიდნენ პოლიციელები, ისინი იატაკზე ნახევრად შიშველ მდგომარეობაში მყოფ ქალს და მამაკაცს დაადგნენ თავზე. სერბი მძარცველი წინააღმდეგობის გაწევის მიუხედავად ადგილზევე დააპატიმრეს. მიმდინარეობს მომხდარის გამოძიება.

# საფრანგეთი გერმანიას „ჩრდილოეთის ნაკად-2“-ის შეჩერებისკენ მოუწოდებს



საფრანგეთის სახელმწიფო მდივანმა ევროპის საკითხებში კლემან ბენმა გერმანიას „ჩრდილოეთის ნაკად-2“-ის შეჩერებისკენ მოუწოდა.

– რუსეთში ადამიანის უფლებები ირღვევა! ამისი ნათელი დასტურია ალექსეი ნავალნის დაკავება და მშვიდობიანი მიტინგების ძალისმიერი მეთოდებით დაშლა, – თქვა ბენმა.

ფრანგმა პოლიტიკოსმა აღნიშნა, რომ რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები საკმარისი არ არის და მათი გაფართოება აუცილებელია.

გერმანიის მთავრობის წარმომადგენელმა პასუხად განაცხადა, რომ პროექტის განხორციელება აუცილებელია:

– „ჩრდილოეთის ნაკად-2“-ს და ნავალნის დაკავებას საერთო არაფერი აქვს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# სილამაზის კონკურსის ფინალისტმა ჭურჭლის მრეცხავად დაიწყო მუშაობა



სილამაზის კონკურსის „მის ყაზახეთი 2019-ის“ ფინალისტი გულინურ ნურტაზა ჭურჭლის მრეცხავად მოეწყო სამუშაოდ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გოგონა უკვე ნახევარი წელია ქალაქ კიზილორდაში ერთ-ერთი კაფეს სამზარეულოში მუშაობს. სოციალურ ქსელებში გავრცელდა ვიდეო, სადაც ასახულია, თუ როგორ შრომობს გულინური სამზარეულოში, ფცქვნის ნიორს და რეცხავს ჭურჭელს. კადრს მიღმა ხმა ამბობს, რომ ეს სწორედ ის „მის კიზილორდა 2017-ია“. გულინური არ უარყოფს, რომ ის სწორედ თვითონაა.

როგორც გულინურის ნაცნობმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, 19 წლის გოგონა მშობლების გარეშე დარჩა: ორი წლის წინ მამა გარდაეცვალა, ხოლო ორი თვის წინ დედა. ასე რომ, ახლა მას საკუთარ თავზე ზრუნვა თავადვე უწევს. აღსანიშნავია, რომ გულინურის სილამაზე მას მხოლოდ პრობლემებს უქმნის: ქალები სამსახურში ეჭვიანობის ნიადაგზე არ იღებენ, მამაკაცები კი ინტიმს სთავაზობენ.

# ძაღლმა ბავშვი მდინარეში დახრჩობისგან იხსნა

სამხრეთ ავსტრალიის შტატის ქალაქ ონკაპარინგ პორტ ნოარლუნგის გარეუბანში ძაღლმა ბოლო მომენტში შეძლო ბავშვის მდინარეში დახრჩობისგან ხსნა.

რობ ოსბორნი მდინარის ნაპირთან თავის ძაღლთან, ბულდოგისა და სტაფორდშირის ბულტერიერის მეტისთან, სახელად მაქსთან ერთად სეირნობდა. მან ამ დროს მდინარის შუაგულში ბავშვი შენიშნა.

– დინებამ ბავშვი დიდი ქვებისკენ გაიტაცა. მას სიკვდილს წამები აშორებდა, – ყვება ოსბორნი. სანამ მამაკაცი წყალში გადახტებოდა, შენიშნა, რომ მისი ძაღლი უკვე მიცურავდა ბავშვისკენ.

მამაკაცმა ბავშვს დაუძახა, რომ მისი ძაღლისთვის სახელით მიეხმო და ხელი სამაშველო ჟილეტისთვის ჩაევლო, რომელიც შინაურ ცხოველს ეცვა. ბავშვმა ხელი ჟილეტის სახელურს ჩაავლო და ძაღლმა ის მდინარის ნაპირზე ამოათრია.

– ის ერთმნიშვნელოვნად გმირია, უბრალოდ, აკეთებდა იმას, რაც უთხრეს, – აღნიშნა ძაღლის პატრონმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# კიმ კარდაშიანმა მოდას 90-იანების ვარცხნილობა დაუბრუნა



რეალითიშოუს „კარდაშიანების ოჯახი“ ვარსკვლავმა კიმ კარდაშიან-უესტმა მოდაში დააბრუნა 1990-იანი წლების ვარცხნილობა.

40 წლის ტელევარსკვლავმა გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელზეც ის ორ კუდად შეკრული თმებით და შუბლის ნაპირებზე ჩამოშლილი თმებითაა აღბეჭდილი. მას ასევე აცვია მინი ქვედა ბოლო და ნიანგის ტყავის კროპ-ტოპი.

აღნიშნულმა ვარცხნილობამ, რომელსაც ტენდრილს-ი ეწოდება, ფართო გავრცელება ჰპოვა გასული საუკუნის 90-იან წლებში. ასე, მაგალითად, ფოტოსურათი ასეთი ვარცხნილობით გამოაქვეყნა პოპშემსრულებულმა დუა ლიპამ.

გარდა ამისა, კარდაშიანმა ასევე გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელზეც ის ასევე 90-იან წლებში პოპულარული აქსესუარებითაა აღბეჭდილი. საუბარია თმის ელასტიკურ სამაგრზე. აღნიშნულ ფოტოზე ბიზნესვუმენი პოზირებს ყავისფერ ტყავის შარვალსა და ქურთუკში გამოწყობილი, ხოლო ფეხზე ნიანგის ტყავის ფეხსაცმელი აცვია. ხელში კი Louis Vuitton-ის ხელჩანთა უჭირავს.

## მიშა მესხი 84 წლის გახდებოდა



ჩვენ ერთ ქუჩაზე ვცხოვრობდით. 12 იანვარს ჩვენი ლეგენდა-ფეხბურთელის – მიშა მესხის დაბადების დღე იყო. ის 84 წლის გახდებოდა. ამ რამდენიმე დღის წინ მიშა მესხის მეუღლე, უკეთილშობილესი ქალბატონი ქეთევანი შემხვდა. ჩვენ თბილად მოვიკითხეთ ერთმანეთი. ნამდვილი ოჯახის ერთგული, მოსიყვარულე და დასაფასებელი ქალბატონი ბრძანდებით, ქალბატონო ქეთევან. ბედნიერი ხართ, რომ ასეთი წესიერი, უაღრესად თბილი, კეთილშობილი და საამაყო შვილი – მამუკა გყავთ. ის დღე და ღამე ბაზაზეა. დიდ ყურადღებას იჩენს ბავშვების მიმართ. კარგი თაობა იზრდება და ამისთვის დიდი მადლობა მამუკა მესხს.

მოვიარე დიდი მიშას სახელობის „ავაზას“ ბაზა. ძალიან ნასიამოვნები და კმაყოფილი დავრჩი ბავშვების მონდომებითა და ვარჯიშით. შემდეგ ჩვენი ლეგენდა-ფეხბურთელის თენგიზ სულაქველიძის აკადემიას მივადექი, სადაც ისეთი მონდომება და სიყვარულია ვარჯიშის მიმართ, გაგიკვირდებათ. დიდი მონდომებაა ბავშვების მხრიდან. მერე ახალგაზრდა „დინამოს“ ვარჯიშზეც მივედი. იქ გიგუშა დემეტრაძე ავარჯიშებს და თვითონაც ჩართულია ვარჯიშში. ერთი განახათ, რა სიცილხარხარში ვარჯიშობენ. ყოჩაღ, დემე, ჯიგარი ხარ, შენც რომ მათთან ერთად ვარჯიშობ. შენ რომ გიყურე, ახლაც შეგიძლია „დინამოში“ ითამაშო, იმხელა ენერგია გაქვს.

მოკლედ, იქედან დიდი სიხარულით წამოვედი. კარგი თაობა გვეზრდება. მადლობა მათ ამისთვის. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან ასეთი მონდომება კარგა ხანია არ მინახავს.

სლავა მეტრეველს საბჭოთა კავშირში ვერავინ იჭერდა შალვა ჭრელაშვილის გარდა, ფეხს არ ანძრევინებდა. შალვა ლეგენდაა კაცურ-კაცობაშიც. გულშემატკივრებისა და იბო დოლიძის დიდი სურვილია, სუკონკის სტადიონს შალვა ჭრელაშვილის სახელი დაერქვას.

**იბო დოლიძე**

# განძის მაძიებელი მამაკაცს დაკარგული ბეჭდის პოვნაში დაეხმარა

ავსტრალიელი განძის მაძიებელი დაბნეულ მამაკაცს დაკარგული საქორწინო ბეჭდის მოძებნაში დაეხმარა.

ბეჭედი ავსტრალიის დაარსების დღეს დაიკარგა, რომელიც 26 იანვარს აღინიშნება. დენიელ ვერგიზასმა და მისმა მეუღლემ ზეიმის დღე პლაჟზე გაატარეს. რაღაც მომენტში მამაკაცმა ზღვაში ბანაობის წინ ბეჭედი თითიდან მოიხსნა და საფულეში შეინახა. მას ბეჭედი სახლში დაბრუნების შემდეგ გაახსენდა, მაგრამ საფულეში ბეჭედი აღარ იდო.



სასოწარკვეთილმა წყვილმა დახმარებისთვის სიდნეელ განძის მაძიებელ შენონ ჰეჯკოუს მიმართა, სვირინგებიან და გრძელ წითურწვერიან მამაკაცს, რომელიც განძის მოსაძებნად ლითონმაძიებელს იყენებს. მათ განძის მაძიებელს პლაჟზე ის ადგილი მიუთითეს, სადაც დღესასწაული გაატარეს, ის კი დათანხმდა, რომ მათთვის ორი საათი დაეთმო.

– დრო თითქოს ამოწურული იყო, როდესაც მან ქვიშიდან რაღაც ამოთხარა და გვკითხა: „ეს თქვენი ბეჭედია?“ – იხსენებს ვერგიზასი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# მესი სასამართლოში ჩივილს აპირებს

ბარსელონას არგენტინელი კაპიტანი, ლიონელ მესი, კლუბთან დადებული კონტრაქტის დეტალების გასაჯაროებით გულდაწყვეტილი და იმედგაცრუებულია.

საქმე ის არის, რომ ესპანურმა მედიამ 2017 წელს დადებული ხელშეკრულების დეტალები გამოაქვეყნა, რომელთა მიხედვითაც, 2017-21 წლების პერიოდში, მესის მიერ, ანაზღაურების სახით, ნახევარ მილიარდ ევროზე მეტის მიღება დგინდება.

არგენტინელი დარწმუნებულია იმაში, რომ ინფორმაციამ კლუბიდან გაჟონა. შედეგად, მესი, სასამართლოში ჩივილს გეგმავს. როგორც ირკვევა, ლეოს სამიზნე 3 ადამიანია: ბარსელონას ექსპრეზიდენტი ხოსეპ მარია ბარტომეუ, აღმასრულებელი დირექტორი ოსკარ გრაუ და გუნდის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი კარლეს ტუსკეტსი, რომელსაც ამ დოკუმენტზე ხელი ასევე მიუწვდებოდა.

მადრიდული მედია მესის კონტრაქტთან დაკავშირებით თავის აზრს აფიქსირებს.

– მესის ხელშეკრულების დეტალების გასაჯაროების შემდეგ ირკვევა, რომ არგენტინელს 2017-21 წლებში ბარსასგან 555 მილიონ ევროზე მეტი უნდა მიეღო. მადრიდული გამოცემის ინტერპრეტაციით, ლეოს კონტრაქტი კატალონიურ კლუბს ანგრევს.

მესიმ 4 წელიწადში 555 მილიონი ევრო გამოიმუშავა. ის მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტსმენია. შესაძლოა, ბევრი ფიქრობს, რომ ეს თანხები არარელევანტურია, მაგრამ ხალხმა უნდა გაითვალისწინოს ის, თუ რას წარმოქმნის არგენტინელი და ის ყველაფერი, თუ რა მისცა მან ბარსელონას 16 სეზონის განმავლობაში.

ბარსამ არგენტინელთან ერთად ყველაფერი მოიგო – მათ შორის 4 ჩემპიონთა ლიგის თასი, რაც წარმოუდგენელი იყო. ლა ლიგის ტიტულები, მსოფლიოს საკლუბო თასები, სუპერ თასები... მისი წყალობით ბარსელონა მსოფლიოს საუკეთესო გუნდად აღიარეს. კლუბმა პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელების შეძენა შეძლო, რადგან იქ ლეოა. მესისთან ერთად თამაში ყველას უნდა.



არავინ ფიქრობს, რომ მესიმ ამ კონტრაქტის გაფორმებით კლუბი კლდიდან გადააგდო. ყველაფერი პირიქით იყო. ბონუსებისა და პრემიების უმეტესობა, რომლებიც ხელშეკრულებაშია ასახული, კლუბის მოთხოვნით დაემატა. ბართომეუმ ლეოს ყველაფერი დაუკითხავად შესთავაზა. ეს იმაზე მეტყველებს, თუ რას ნიშნავს მესის გუნდში ყოფნა.

ბარსელონამ საგანგებო განცხადება გააკეთა:

– კლუბი წუხს იმ ინფორმაციის გავრცელების გამო, რომელიც ბარსელონასა და ლიონელ მესის შორის გაფორმებულ კონტრაქტს ეხება. ეს კერძო დოკუმენტია, რომელიც მხარეებს შორის კონფიდენციალურობის პრინციპით რეგულირდება. საფეხბურთო კლუბი ბარსელონა აღნიშნულის გამო პასუხისმგებლობას არ ატარებს, დეტალების გამავრცელებელ მედიასთან მიმართებაში კი, შესაბამის სამართლებრივ ნაბიჯებს გადადგამს იმ ზიანის გამო, რომელიც ამ ცნობის გახმაურებამ შესაძლოა გამოიწვიოს. ბარსელონა მესის სრულ მხარდაჭერას უცხადებს და ყოველმხრივ შეეწინააღმდეგება მისი იმიჯის დისკრედიტაციის მცდელობას.

მესის ბარსელონასთან მიმდინარე კონტრაქტი 2021 წლის 30 ივნისამდე აქვს გაფორმებული. არგენტინელი ვარსკვლავი ესპანური გრანდის დატოვებას გასულ ზაფხულსაც ცდილობდა, თუმცა, ბოლოს ბარსაში დარჩა. მიმდინარე სეზონში ჩატარებულ 23 მატჩში მისი მონაგარი 15 გოლი და 6 საგოლე პასია. მესის გადაბირებით ყველაზე სერიოზულად ინგლისური მანჩესტერ სიტი და ფრანგული პსჟ არიან დაინტერესებულნი.

# რამოსი მანჩესტერსაც მოუნდა



ცნობილი ხდება, რომ სერხიო რამოსს ზაფხულში მანჩესტერ იუნაიტედში გადასვლა სურს. მადრიდის რეალის ვეტერანი კაპიტანი კლუბის დატოვებას 16 წლის შემდეგ გეგმავს.

34 წლის მცველი ივნისში თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებს და მანამდე მას შეეძლება წინასწარი შეთანხმება გააფორმოს.

„სანტიაგო ბერნაბეუზე" ახალი 2-წლიანი გარიგების შესახებ მოლაპარაკებები ჩაიშალა მას შემდეგ, რაც რეალმა რამოსს 10%-ით ხელფასის შემცირება სთხოვა.

ბრიტანული მედიის ცნობით, ესპანელს პარი სენ-ჟერმენი ეპატიჟება, მაგრამ რამოსი არც იუნაიტედში თამაშზე ამბობს უარს. სხვადასხვა ინფორმაციებზე დაყრდნობით ვრცელდება, რომ 34 წლის ესპანელს ძალიან ხიბლავს ინგლისურ კლუბში გადასვლის ვარიანტი.

მიუხედავად იმისა, რომ რამოსი ხელმისაწვდომი იქნება უფასო ტრანსფერით, მხოლოდ რამდენიმე კლუბი შეძლებს მისი ხელფასის გადახდას, რაც კვირაში 200.000 გირვანქა სტერლინგზე მეტია.

# საქართველოს თასი ბოლო მეოთხედფინალისტს ელოდება



კალათბურთში საქართველოს თასის გათამაშების კიდევ 2 მეოთხედფინალისტი გამოვლინდა. თბილისის დინამომ ბათუმს უმასპინძლა და 93:94 დამარცხდა, მაგრამ სერიის პირველი შეხვედრა 2 ქულით (80:78) ჰქონდა მოგებული და მეოთხედფინალში გავიდა. ორმატჩიანი სერიის ბედი ერთმა ქულამ გადაწყვიტა – დინამოელებმა ჯამში 173:172 იმარჯვეს.

ბათუმელები თასის გათამაშებიდან დასანანად გავარდნენ. გია კაზანჯიანის გაწვრთნილი გუნდი მატჩის დასრულებამდე 2 წუთით ადრე 6 ქულით – 92:86 იგებდა და მიზნის მისაღწევად ახლოს იყო. დარჩენილ დროში ვლადიმერ თავაქარაშვილმა 3-ქულიანი, ტაილერ უილიამსმა კი საჯარიმოები ჩააგდო და თბილისელებმა ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირეს.

აქ გათამაშდა გადამწყვეტი სცენა, როცა ბათუმელთა ახალწვეულმა ტომას უაილდერმა 2-ქულიანი ააცილა და ლაშა მიქელაძემ საპასუხო შეტევაში დინამოელები დააწინაურა – 93:92. დარჩენილი იყო 28 წამი, როდესაც ბათუმელმა ლევან ბაბილოძემ ზუსტი გარღვევით ზღვისპირელები ქულით დააწინაურა. დინამომ საპასუხო შეტევისთვის განკუთვნილი 24 წამი თითქმის მთლიანად ამოწურა, თუმცა თავაქარაშვილმა სამიანი ამჯერად ვერ ჩააგდო. ბათუმს ბოლო შეტევისთვის 4 წამი დარჩა, ფარიდან ასხლეტილი ბურთი ნემანია კაპეტანოვიჩმა მოხსნა, მოედნის შუახაზს გადასცდა თუ არა, დროის ამოწურვის გამო ბურთი ესროლა, რომელიც რკალს მოხვდა, მაგრამ არ ჩავარდა და ქულით დამარცხებული დინამოელები მეოთხედფინალში გავიდნენ.

თბილისურ გუნდს 22 ქულით ლუკა ბულაშვილმა ულიდერა. 19 ქულა ვლადიმერ თავაქარაშვილმა მოაგროვა. ნიკოლოზ დარბაიძის ანგარიშზე 11 ქულა და 11 მოხსნა დაგროვდა. ბათუმში და სრულიად მატჩში საუკეთესო შედეგი ტომას უაილდერმა დააფიქსირა: 39 ქულა, 7 მოხსნა, 5 პასი. 18 ქულა ნემანია კაპეტანოვიჩმა მიითვალა.

7 მეოთხედფინალისტი ქუთაისია, რომელმაც ა ლიგის წარმომადგენელ კავკასიას უმასპინძლა და პირველ მატჩში მოპოვებულ 5-ქულიან უპირატესობას კიდევ 26 მიამატა და საბოლოოდ სერია დამაჯერებელი სხვაობით მოიგო.

ბექა წივწივაძის გაწვრთნილმა კავკასიელებმა სერიის პირველ მატჩში ფავორიტად მიჩნეულ ქუთაისელებს ბრძოლა გაუმართეს, მაგრამ მომდევნო შეხვედრაში იგივეს გასაკეთებლად ძალები არ ეყოთ. კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა გუნდმა საქმეს თავიდანვე სერიოზულად მოჰკიდა ხელი და ლიდერობა რომ მოიპოვეს, მეტოქისთვის შანსი აღარ მიუციათ. თანაც ისე, რომ ლიდერები – დეჟუან რაითი და კაშიმ რემსონი არ ათამაშა.

საბოლოოდ იმერულმა კლუბმა 94:68 მოიგო, რაშიც თითოეულმა ქუთაისელმა საკუთარი წვლილი შეიტანა. ყველაზე შედეგიანი კი ილია ლონდარიძე იყო – 16 ქულა, 4 მოხსნა, 3 პასი, 2 ჩაჭრა, 1 დაფარება. ჟოელ ალმეიდამ 20 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა. აკაკი დვალიშვილის ანგარიშზე 13 ქულა დაგროვდა. კავკასიელთაგან 25 ქულით საუკეთესო იყო დევონ კოლი. 14 ქულა ვლადიმერ ალავიძემ მოაგროვა.

რაც შეეხება ბოლო მერვედფინალს, რუსთავისა და მეგას სერიას, მე-2 მატჩის გამართვის თარიღის განსაზღვრა კლუბ მეგაში კოვიდ-სიტუაციის დარეგულირებაზეა დამოკიდებული.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ნიკა აგლაძე ინტელექტუალურ თამაშებს უბრუნდება



მოაზროვნე ნიკა აგლაძე ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ინტელექტუალურ თამაშებს უბრუნდება. ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ახალგაზრდა მოაზროვნეს გასულ წელს თავზე ურთულესი ოპერაცია ჩაუტარდა. ნიკა საბედნიეროდ გამოჯანმრთელდა და ისევ დავით რაფავას გუნდშია.

ნიკას გამოჯანმრთელების შესახებ ინფორმაცია სწორედ დავით რაფავამ გაავრცელა, რომელმაც ინტელექტუალური თამაშების მოყვარულებს გუნდის წლევანდელი შემადგენლობა წარუდგინა.

ინტელექტკლუბის „რა? სად? როდის?" თამაშში დავით რაფავას ექვსეული ასეთი შემადგენლობით წარდგება: ნიკა აგლაძე, ია მეტრეველი, დემე ქარდავა, სოსო ბერიკაშვილი, თენგო ლელუჩაშვილი და გუნდის კაპიტანი დავით რაფავა.

# ნინო ჩხეიძეს კორონავირუსი დაუდასტურდა



მომღერალ ნინო ჩხეიძეს კორონავირუსი დაუდასტურდა.

– ჰელოუ, კორონა! – ასეთი მოკლე განცხადება გააკეთა მომღერალმა სოციალურ ქსელში და უამრავი გულშემატკივრის საუკეთესო სურვილი და გამამხნევებელი შეტყობინებაც მიიღო.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

## თემურ წიკლაურს

### სულის ამოძახილი

შენთვის დაწერილ სიმღერას, ვწუხვარ, გზა ერგო თალხი,
გულისტკივილით მოგტირის სცენის მშვენებას ხალხი.
ვერასდროს გაამზიანებს დრო ცით დაშვებულ ჩრდილს.
სამარე – თბილი დაგხვდება, გულში ჩაიკრავ შვილს.
ერის კაცს სასიქადულოს, სპეტაკი სულის ქართველს,
მუხლმოდრეკილი გინთებ ხატებთან გლოვის სანთელს....

*შენი შეუდარებელი ჰანგების მოსიყვარულე*
*დამწუხრებული ნანა დარჩიაშვილი*

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მრავალადგილიანი სამგზავრო ავტომობილი; 2. ქუჩის სახელწოდება ძველად საქართველოში; 3. ძმები ჯაჭვლიანების მხატვრული ფილმი; 4. ქალაქ ბარსელონას ძველი სახელწოდება; 5. ქიმიური ინდიკატორი; 10. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 11. მეცნიერება საზოგადოების განვითარების ზოგადი კანონების შესახებ; 12. ქართველი შტანგისტი, ოლიმპიური ჩემპიონი; 15. ტვირთის დროებითი საცავი საბაჟოზე, ნავსადგურში; 16. რუმინელი კომპოზიტორი, პიანისტი, მევიოლინე, დირიჟორი; 17. პირველი ამერიკელი ასტრონავტი; 20. ამბის მომტანი, შიკრიკი.

**თარაზულად:** 6. ოქტომბრის თვის ქართული სახელწოდება; 7. ღამის პეპელა; 8. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 9. ტერიტორიული ერთეული რუმინეთში; 13. ოპერა „კარმენის" კომპოზიტორი; 14. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 18. საერთაშორისო, კომპიუტერული, საინფორმაციო ქსელი; 19. უხეში, გაუზრდელი, ბრიყვი ადამიანი; 21. შვედური მსუბუქი ავტომობილი; 22. ხშირი, გაუვალი ტროპიკული ტყე; 23. რამდენიმე ბანკის, კომპანიის გაერთიანება; 24. ფილატელისტის ალბომი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ქედანი; 2. ფოთი; 3. ფასანაური; 4. ქართუ; 5. ბერმუხა; 8. ლოტოსი; 9. დეკლამაცია; 12. შანელი; 14. ოქსინო; 16. აიეტი.

**თარაზულად:** 1. ქლოროფილი; 6. გაბრიაძე; 7. დვალეთი; 9. დიბალა 10. კურუ; 11. მოზაიკა; 13. ფლორა; 15. ფატიმა; 17. დიონისე; 18. ხეტაფე; 19. დისნეი; 20. თიბათვე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მაყრიონი; 2. ყიფიანი; 3. სმოგი; 4. ქუვეითი; 5. რემისია; 10. დინასტია; 11. მუჯურეთული; 12. აზბესტი; 15. ბობოყვათი; 16. ხვიფლი; 17. როკფორი; 20. კუსტო.

**თარაზულად:** 6. კარდიოგრამა; 7. გურიელი; 8. შპიგელი; 9. ლორენი; 13. ვანი; 14. გუბაზი; 18. ლელობურთი; 19. რომბი; 21. იუნგა; 22. ფიკუსი; 23. აინშტაინი; 24. ერისიონი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


3 თებერვალი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.3048

ევრო — 3.9909

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.5296

100 რუსული რუბლი — 4.3625

## ამინდის პროგნოზი 3 თებერვლისათვის





## 21 იანვრიდან გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად გაიყიდება

### მაია ბურჭულაძის სერიალის

### „დიმიტრი ძნელაძე კრიმინალისტიკის ლაბირინთებში“



## 7-ტომეული

21 იანვრიდან ...................... ტომი 1
25 იანვრიდან...................... ტომი 2
28 იანვრიდან...................... ტომი 3
1 თებერვლიდან ................ ტომი 4
4 თებერვლიდან................ ტომი 5
8 თებერვლიდან................ ტომი 6
11 თებერვლიდან.............. ტომი 7

### ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი


## იუმორი

ბავშვი დედას ეკითხება:

– დე, სისხლი გემლიელია?

– საიდან მოიტანე?

– მამამ მითხლა, დედასენმა სისხლი დამილიაო.

– მამაშენს ტვინი არ აქვს.

– დე, ეგეც სენ სეუწამე???

●●●

მოხუცი დათვი ახალგაზრდას არიგებს:

– ადამიანს თავს მხოლოდ მას შემდეგ უნდა დაესხა, როდესაც დაგინახავს და რეაგირებას მოასწრებს...

– რატომ?

– ორგანიზმი ნარჩენებისგან გაუსუფთავდება და უფრო გემრიელი იქნება...

●●●

მამა შვილს ეუბნება:

– მე და დედაშენმა შენს კარადაში პორნოგრაფიული ჟურნალები ვიპოვეთ, ჰოდა, გეკითხები, მაშინ, რა ჯანდაბად გვახდევინებ ფულს ინტერნეტში?

## თემურ წიკლაურს შვილის გვერდით დაკრძალავენ



75 წლის ასაკში გარდაცვლილ მომღერალ თემურ წიკლაურს ხუთშაბათს კოჯორში, შვილის გვერდით დაკრძალავენ. ინფორმაცია მისმა მეგობრებმა გაავრცელეს.

ანსამბლ „ივერიას“ უცვლელი წევრი, ქართული ესტრადის არწივად წოდებული თემურ წიკლაური კორონავირუსთან ბრძოლაში დამარცხდა. იგი გორის სამხედრო ჰოსპიტალში მკურნალობდა, თუმცა მისი გადარჩენა ექიმებმა ვერ შეძლეს.

სამწუხარო ინფორმაცია მომღერლის შვილიშვილმა ანდრია გოგიბედაშვილმა გაავრცელა:

– გარდაიცვალა ბაბუაჩემი, თემურ წიკლაური.

მომღერლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ინფორმაცია რამდენჯერმე გავრცელდა, თუმცა ყოველ ჯერზე ტყუილი აღმოჩნდა. სამწუხაროდ, მისი მდგომარეობა დღითიდღე მძიმდებოდა და საბოლოოდ გარდაიცვალა კიდეც:

– ჩემო ძვირფასებო, ყველამ უკვე იცით, რომ ჩემი სიამაყე, საყრდენი და ჩემი ცხოვრების დიდი სიყვარული გარდაიცვალა. ჩემი ტკბილი მამიკო ახლა უფალთან არის. პანაშვიდები იქნება ლურჯ მონასტერში. გასვენება ხუთშაბათს 1 საათზე... გისამძიმრებ საქართველო! – განაცხადა თემურ წიკლაურის შვილმა ქეთი წიკლაურმა.

მომღერალი სიცოცხლის ბოლომდე ნაყოფიერად შრომობდა, წერდა ახალ სიმღერებს და იღებდა ვიდეოკლიპებს. ერთ-ერთი მისი უკანასკნელი კლიპი აღმოჩნდა ეთნოგრაფიულ მუზეუმში გადაღებული ვიდეორგოლი ცნობილ სიმღერაზე „ჰერიო, ბიჭებო, ჰერიო!“ კლიპში ქვიშაზე მხატვარმა ნონა გიუნაშვილმაც მიიღო მონაწილეობა:

– იმდენი რამის თქმა უნდოდა ამ ბოლო კლიპით ჩვენთვის, ახლა ძალიან უცნაურია, ამაზე რომ ვფიქრობ და ვაანალიზებ. იმხელა ემოციით მიხსნიდა ამ კლიპის არსს და მნიშვნელობას. უნდოდა ყველა ქართველისთვის შემოეძახა – თუ ვინ ვართ და საიდან მოვდივართ. როგორი კარგები ვართ, როგორი დიადები და ძლიერები. უნდოდა შემოელაწუნებინა ყველა ჩვენთაგანისთვის – ჰერიო, ბიჭებო, ჰერიო!

არ ვიცი, მე იმდენი ემოცია დამიტოვა ამ ადამიანის ბუნებამ. დღეს ვერაფერზე ვფიქრობ და სულ მეტირება. ბოლოს დამირეკა და მითხრა – კორონა მაქვს, მაგრამ მე ამან რა უნდა დამაკლოსო. რამდენიმე დღეში დავურეკე მოსაკითხად და უკვე აღარ იყო კარგად. მისი ტელეფონი გამორთული იყო. სულ მეგონა, რომ გადაიტანდა, მაგრამ ვერ მოერია. არ ვიცი ახლა ამდენს რატომ ვწერ. უბრალოდ, მომინდა მეთქვა, რომ ძალიან მწყდება გული და მიხარია, რომ მე მას ვიცნობდი. დიდი ადამიანი და ქართული სული იყო ჩემთვის!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## დემნა გვასალია: „ჩვენ ახლა სოციალური რევოლუციის ნაწილი ვართ“



– ასე მიაჩნია მსოფლიოში ცნობილ ქართველ დიზაინერს დემნა გვასალიას და უცხოელ ჟურნალისტებთან სილამაზის მისეულ კრიტერიუმზე საუბრობს:

– ვერ ვიტყვი, რომ გარემო, სადაც ვიზრდებოდი, ლამაზი არ იყო და ესთეტიკა არ არსებობდა. ბებიაჩემი საინტერესო და ლამაზი ქალი იყო. სახეზე არაფერი გაუკეთებია. არა მგონია, რომ მის ქმარსაც კი სიცოცხლეში ერთხელ მაინც მაკიაჟით ჰყოლოდა ნანახი. ხშირად უჭირდა გაგება, რომ ახლა უკვე ბებიაა, თავს ისევ ლამაზ და სექსუალურ ქალად თვლიდა. მე გაოცებული ვიყავი, როგორ ლამაზად შევიდა ასაკში.

***– როგორ ყალიბდება სილამაზის იდეალები გონებაში?***

– ბებია მაყურებინებდა ელიზაბეტ ტეილორის და სოფი ლორენის ფილმებს. ჩემს გონებაში ისინი იყვნენ კლასიკური ქალური სილამაზის იდეალები. ახლა იმ ეტაპზე ვარ, როცა განსხვავებული ტიპის სილამაზის დაფასებაც დავიწყე. აქამდე არც ვიცოდი. როცა პარიზის კლუბებში ცხოვრობ, ბუნებას და გარემოს ვერ აფასებ. შვეიცარიაში ბუნება უფრო თვალსაჩინოა. კოლექციებს ბუნებაზე არ ვაკეთებ, ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ ბუნება თავისუფლებას და სიმსუბუქის შეგრძნებას მაძლევს და როგორღაც მეხმარება, რომ უკეთ შევქმნა. მჯერა, რომ სილამაზე ყველაფერშია, ყველა ინდივიდუალში. ეს ბუნებისგან, ან ღმერთისგან გვეძლევა და რაღაც სულიერიც არის. შინაგანი სილამაზეც არსებობს და ის ძალიან ძლიერია. როცა ისეთი ვიღაც გიყვარდება, ვისზეც ვერასდროს იფიქრებდი. მაგრამ გულწრფელად ვიტყვი, ადრე არ მქონდა სელებრითებთან შეხება. არ ვცხოვრობდი ისეთ გარემოში, რომ ჩემ გარშემო მსახიობები და ასეთი ხალხი ყოფილიყო. ახლა მაქვს მათთან კონტაქტი და მიკვირს, როგორ შეიძლება, რომ ასეთი იდეალური გარეგნობა გქონდეს? ეს საერთოდ როგორ არის შესაძლებელი?

***– მუდმივად ვისმენთ. როგორ კვებავს ონლაინ პორნოგრაფია თაობებს, რომ სხეულის თმის შერცხვეთ...***

– ხელოვნური სილამაზეა, მაგრამ არა მგონია, რომ მაგის შესაჩერებლად რამის გაკეთება შეგვიძლია. ციფრული სამყაროს გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. ყველაფერი ონლაინში ხდება. ჩვენ ახლა სოციალური რევოლუციის ნაწილი ვართ და კარგად ვერც ვიაზრებთ. ევოლუცია ყველაფერს ეხება და მათ შორის სილამაზის მნიშვნელობის განსაზღვრასაც.

***– და შენ გამოწვევა შეგიძლია...***

– მაგრამ არ მინდა. არ მაღელვებს, თუ ვინმეს სხეულის თმა არ უნდა, ეს მათი არჩევანია. მაგრამ თუ არავის ენდომება, მაშინ კლონებს დავემსგავსებით და ეგ ყველაზე საშიშია. დღეს ინტერნეტით ყველაფერი იმდენად გლობალური და ხელმისაწვდომია, რომ განსხვავებული ადამიანები უფრო საინტერესოები და ამაღელვებლები გახდნენ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## პოჩეტინო: „ბარსელონაში არასოდეს ვიმუშავებ“



პსჟ-ს ახალმა მთავარმა მწვრთნელმა მაურისიო პოჩეტინომ საინტერესო განცხადება გააკეთა და თქვა, რომ ის ბარსელონაში არასოდეს იმუშავებს, რადგან მას ესპანიოლთან ბევრი კარგი რამ აკავშირებს და ბარსელონაში მუშაობა მისი მხრიდან არასწორი ნაბიჯი იქნებოდა:

– ბარსელონა დიდი გუნდია და მას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ჩემი იქ ყოფნა ვერ წარმომიდგენია, რადგან ესპანიოლთან ბევრი მოგონება მაკავშირებს. ამჟამად ჩემი ფიქრები მხოლოდ პსჟ-ს უკავშირდება.



## დესტი მალე ითამაშებს

ბარსელონას რამდენიმე ტრავმირებული ფეხბურთელი სულ მალე დაუბრუნდება. ესენი არიან ჰოლანდიელი სერჟინიო დესტი და სერჯი რობერტო, რომელმაც საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი გამოტოვა ტრავმის გამო. დესტს ნაკლებად სერიოზული ტრავმა ჰქონდა, თუმცა მანაც ამ მიზეზის გამო რამდენიმე შეხვედრა გამოტოვა.

დესტი ბარსელონას ზაფხულში შეუერთდა და მან შეძლო ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება.

კუმანი მისი თამაშით ძალიან კმაყოფილია.

## ნაგელსმანი: „რამდენიმე წლის წინ რეალი უარით გავისტუმრე“

გერმანელმა სპეციალისტმა იულიან ნაგელსმანმა განაცხადა, რომ სამი წლის წინ რეალმა შეთავაზება გაუკეთა, მაგრამ ნაგელსმანმა ესპანური ენა არ იცოდა და სწორედ ამ მიზეზის გამო სამეფო გუნდი უარით გაისტუმრა:

– მხოლოდ სამი კვირა იყო დარჩენილი ვარჯიშის დაწყებამდე და ესპანურ ენას არ ვფლობდი, ამიტომ გადავწყვიტე, რომ უარი მეთქვა, რადგან ენა ჩემთვის მნიშვნელოვანია. მომავალში მაქვს ამბიცია, რომ კარიერა სხვა ქვეყანაში გავაგრძელო.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 3 თებერვლისათვის



**ვერძი** – ფუჭი საუბრები, არასაჭირო ურთიერთობები უსიამოვნებას შეგამთხვევთ. კრიტიკული დღეა. საყიდლებზე წასასვლელად სხვა დრო შეარჩიეთ. **კურო** – ფინანსებს გაუფრთხილდით. ფული ეკონომიურად ხარჯეთ. გარისკვა გაუმართლებელია. **ტყუპები** – მიღებულ შემოთავაზებას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. მეგობრებთან ურთიერთობა გაგახალისებთ. **კირჩხიბი** – ოცნება აგისრულდებათ. საქმიანი შეხვედრები სასურველ შედეგს არ გამოიღებს. **ლომი** – დღის ნეგატიურ ტენდენციებს თქვენი სითამამე და აქტიურობა გააქარწყლებს. ერიდეთ კონფლიქტს კოლეგებთან. **ქალწული** – ემოციები აკონტროლეთ. მოთმინება და თავშეკავება უსიამოვნებას თავიდან აგაცილებთ. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა სოციალური კონტაქტებისათვის. პირად ცხოვრებაში ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციები ჭარბობს. **ღრიანკალი** – საქმიანი ურთიერთობები არ გაამართლებს. გუნებაგანწყობა ხშირად გეცვლებათ. **მშვილდოსანი** – კომერციულ სფეროში არ იაქტიუროთ. კარგი იქნება დასვენება და გართობა უახლოესი მეგობრების წრეში. **თხის რქა** – ახალგაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობისას იფრთხილეთ. ამბიციურობა და კატეგორიულობა დღეს დაგაზარალებთ. **მერწყული** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. ზომიერება დაიცავით ნებისმიერი საქმიანობისას. სერიოზულ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **თევზები** – რეალობა ადეკვატურად მიიღეთ. ილუზიებისაგან საჩქაროდ გათავისუფლდით. ჯანმრთელობას მეტი ყურადღებით მოეკიდეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. პოეტ ნიკო რაზიკაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 2. მდინარე კახეთში; 3. ცრუ დაპირებები, მასებზე გავლენის მოხდენის მცდელობა; 4. სოფლის მოხელე, მამასახლისის ხელქვეითი ძველად; 5. უკრაინული ფარმაცევტული ფირმა; 8. ლიხტენშტეინის დედაქალაქი; 9. მასმედიის ერთ-ერთი სფერო; 12. დეკორატიული ჯიშის ოთახის ძაღლი; 14. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 16. მოხარშული ზეთი საღებავებისა და ლაქების დასამზადებლად.

**თარაზულად:** 1. სამხედრო-საზღვაო ფლოტში გემის სურსათითა და საყოფაცხოვრებო ნივთებით მომმარაგებელი პირი; 6. დედამიწის ფორმებისა და ზომების შემსწავლელი მეცნიერება; 7. გურიასა და აჭარაში გავრცელებული ვარდისფერ-ყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 9. გემის ტვირთამწეობა; 10. ერთგულების მტკიცე პირობა; 11. რომან „კუკარაჩას“ პერსონაჟი; 13. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ჩიკაგოს აეროპორტი; 15. პოპულარული ქართული სიმღერა; 17. მარგალიტის ყელსაბამის ძველი ქართული სახელწოდება; 18. ამერიკული სიგარეტი; 19. ფულადი ჯილდო; 20. რომის, ვისკის, არყის მწარმოებელი ამერიკული ფირმა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

